პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
22 ივლისი
1939 წ.
№ 166 (5566)
ფასი 10 კაპ.

ბიბლიოთეკა

გუშინ, 21 ივლისს დილით საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომაზე გაიხსნა კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღო 13 დეპუტატმა.

სესიის მესამე სხდომაზეც გრძელდებოდა კამათი აღნიშნულ მოხსენების გამო, კამათში მონაწილეობა მიიღო 6 დეპუტატმა.

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

ორდენოსანი საქართველოს ბიუჯეტი

20 ივლისს, თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო პარლამენტმა თავის პირველ სხდომაზე ბოლშევიკური საქმიანობის ატმოსფეროში განიხილა დღის წესრიგის პირველი საკითხი — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტზე და 1937 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებზე.

საქართველოს რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საქ. სსრ სახკომსაბჭომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად შეიტანა უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად, გამომდინარეობს სსრ კავშირის 1939 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სავსებით შეესაბამება პარტიის XVIII ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელების ინტერესებს.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა უდიდესი ისტორიული ამოცანა: უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურადაც გავუსწროთ ყველაზე უფრო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ გრანდიოზული ამოცანის წარმატებით გადაჭრის ისტორიულ საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტმა, რომელიც წარმოადგენს მძლავრ იარაღს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სსრ კავშირის ხალხთა კულტურისა და კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ამ ორი თვის წინათ დაამტკიცა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ, ითვალისწინებს საკავშირო ბიუჯეტთან შედარებით რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების გაცილებით სწრაფ შეფარდებითს ზრდას. ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად აგებულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევ საფუძვლებზე. საქართველოს სსრ ბიუჯეტი საუკეთესო დემონსტრაციაა ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებულია 1.147,8 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც 1938 წლის ბიუჯეტს აღემატება 67,6 მილიონი მანეთით, ხოლო 1937 წლის ბიუჯეტს — 195 მილიონი მანეთით. მეორე ხუთწლედის პირველი წლის ბიუჯეტთან შედარებით კი 1939 წლის ბიუჯეტი თითქმის ერთი-ხუთად იზრდება.

პარტიისა და პირადად დიდი სტალინის სისტემატური მზრუნველობის შედეგად, იმის შედეგად, რომ ყოველწლიურად სწრაფად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტი, საქართველო წინათ დაჩაგრული და დაბეჩავებული ქვეყნიდან გადაიქცა თანამედროვე, პირველხარისხოვანი მრეწველობის ქვეყნად, მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობისა და წერაკითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად.

საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც წარდგენილია უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად, საშემოსავლო ნაწილი ნავარაუდევია 1.156.207 ათასი მან. რაოდენობით. ამ თანხის უდიდესი ნაწილი (ყველა საშემოსავლო წყაროების თითქმის 58 პროცენტი) უნდა დაფაროს ბრუნვის გადასახადმა, რომელსაც ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბიუჯეტის შემოსავლის მეორე მნიშვნელოვანი წყაროა ანარიცხები მოგებიდან და სხვა შემოსავალი განსაზოგადოებული სექტორიდან. შემოსავალი ამ წყაროდან ბიუჯეტში ნავარაუდევია 207.490 ათასი მანეთის რაოდენობით.

რაც შეეხება გადასახადებსა და გამოსაღებებს მოსახლეობისაგან, უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებისა, რომლებიც მთელი თავისი სიმძიმით მშრომელ ხალხს აწვებიან კისერზე, ჩვენს ბიუჯეტში მოსახლეობისაგან გადასახადსა და გამოსაღებებს სრულიადაც არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა და მხოლოდ მცირე როლს თამაშობენ. ეს სავსებით შეესაბამება საბჭოთა ბიუჯეტის ბუნებას.

1939 წლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი — მთელი ბიუჯეტის 70,3 პროც. განზრახულია დაიხარჯოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, რომელთა შორის მირითადი ადგილი უჭირავს განათლებასა და ჯანმრთელობას. განათლების საქმეზე განზრახულია დაიხარჯოს 545.912 ათასი მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვაზე 204.396 ათასი მანეთი. თუ სოცკულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულ თანხებს შევადარებთ გასულ წელს ამავე საქმეზე ფაქტიურად დახარჯულ თანხას, აღმოჩნდება, რომ 1939 წელში ზრდა უდრის 14,7 პროცენტს.

ეს შესანიშნავი ციფრები ნათლად მოწმობენ, თუ რაოდენ დიდია პარტიისა და მთავრობის ზრუნვა, პირადად დიდი სტალინის ზრუნვა სახალხო განათლებაზე, თვითეული ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე, მთელი ხალხის კეთილდღეობაზე.

1939 წლის ბიუჯეტიდან სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე გაღებული იქნება 243.907 ათასი მანეთი, აქედან მრეწველობის დაფინანსებაზე დაიხარჯება 86,8 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე 44,6 მილიონი მან., კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე 79,4 მილიონი მანეთი და სხვ. სოფლის მეურნეობის დაფინანსება ბიუჯეტით გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს იზრდება 20,4 პროცენტით. ეს სავსებით შეესაბამება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის ინტერესებს, რაც დასახულია ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის მიერ.

ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენების შემდეგ სესიამ პირველსავე სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება (მომხსენებელი საბიუჯეტო კომისიის წევრი, დეპუტატი ა. ჯორბენაძე), ხოლო 21 ივლისის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ბიუჯეტის საკითხზე მოხსენებისა და თანამოხსენების ირგვლივ. კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი და გამოსთქვეს რწმენა, რომ 1939 წლის ბიუჯეტი განუხრელად იქნება შესრულებული.

სახელმწიფოს ბიუჯეტში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია სახალხო მეურნეობის ყველა ძაფი. ჩვენს ბიუჯეტში ასახულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განუხრელი აღმავლობა, რასაც ჩვენი ქვეყანა აღწევს დიადი ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს სსრ 1939 წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობა, განუხრელად იქნება შესრულებული. ამის თავდებია საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შრომითი ენტუზიაზმის მძლავრი აღმავლობა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, ამის თავდებია ქართველი ხალხის მტკიცე და ერთსულოვანი მხარდაჭერა იმ ღონისძიებებისადმი, რომელიც ტარდება დიადი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ხალხთა ბრძენი ბელადის — დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

მესამე ხუთწლედის სესხის მეორე ტირაჟი

23 და 24 ივლისს ბაქოში შესდგება მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა მეორე ტირაჟი. ტირაჟში გათამაშებული იქნება 96.050.600 მანეთის 610 ათასი მოგება.

---

23 ივლისს, საღ. 7 საათზე, ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრში მოწვეულია

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო-საქალაქო საზეიმო კრება, სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით,

მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების და თბილისის საბჭოს დეპუტატები შედიან თავისი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები — საშვები ბარათებით, რომლებსაც პარტიის რაიკომები იძლევიან.

კომისია.

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

21 ივლისის დილის სხდომა

21 ივლისს, დილით, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჭლამაზაშვილი.**

სხდომა იხსნება კამათით საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ს. გ. ბაზანდარაშვილი** (გორის სასოფლო საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი), **ვ. ი. ხუბაევი** (სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი), **ნ. ი. გიგაური-ჩარკვიანი** (ხაშმის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), **გ. ი. არჯევანიძე** (წაღვერის საარჩევნო ოლქი, ბორჯომის რაიონი), **გ. ი. კიკნაძე** (ნასაკირალის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), **ვ. მ. მაზიაშვილი** (ზემო-მაჩხაანის საარჩევნო ოლქი, სიღნაღის რაიონი), **ნ. ა. ჯინჭარაძე** (ქუთაისი — ვოროშილოვის საარჩევნო ოლქი, ქუთაისის რაიონი), **ა. ა. აზარიანი** (ურიცკის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), **ს. მ. ჭელიძე** (ალპანის საარჩევნო ოლქი, ცაგერის რაიონი), **ნ. პ. სარქისოვი** (ოკამის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), **კ. ხ. ცეკვავა** (სოხუმი—ლენინის საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ), **გ. ქ. კირიაკოვი** (ლუქსემბურგის საარჩევნო ოლქი, ლუქსემბურგის რაიონი), **გ. დ. ჩაჩიბაია** (კორცხელის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი).

ამით იხურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა. (საქდესი).

21 ივლისის საღამოს სხდომა

21 ივლისს, საღამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. დ. კოჭლამაზაშვილი.**

დღის წესრიგშია კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ი. ი. ლეკიშვილი** (კოჯრის საარჩევნო ოლქი, თბილისის რაიონი), **მ. ი. ბარამია** (საარჩევნო ოლქი № 30, ქ. თბილისი), **გ. ა. ალავიძე** (გალის საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ), **ა. ი. ჯანელიძე** ჭრებალოს საარჩევნო ოლქი, ამბროლაურის რაიონი), **ა. თ. კვაჭაძე** (კარლ მარქსის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), **ბ. ვ. გოგუა** (ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი).

ამით იხურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მესამე სხდომა.

სესიის მეოთხე სხდომა შესდგება 22 ივლისს, დილის 11 საათზე. (საქდესი).

საქდესისაგან

საქდესის მიზეზით ცნობაში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ, რაც ა. წ. 21 ივლისის გაზეთებში გამოქვეყნდა, დაშვებულია დამახინჯებანი.

გამოქვეყნებულ ცნობაში შეცდომით გამოტოვებულია სესიის მიერ მიღებული დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია პირველი სესიიდან მეორე სესიამდე განვლილ პერიოდში“.

სწორად არ არის ფორმულირებული აგრეთვე სესიის დღის წესრიგის მესამე საკითხი. დაბეჭდილია: „საქართველოს სსრ საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“. უნდა იყოს: „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“.

სესიის შესახებ საინფორმაციო ცნობის დამახინჯებაში დამნაშავეებს სათანადო სასჯელი დაედოთ.

ბრძანებულება

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრად ამხ. ბ. ე. ბორეიკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ბიქტორ ეგნატესძე ბორეიკო რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრად.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ბადაევი

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კოზლოვი

მოსკოვი.
1939 წ. 21 ივლისი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო სამეურნეო

გამოფენის წინ

გამოფენის მთავარმა კომიტეტმა მიიღო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონი

გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **კ. ჩარკვიანის** და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. ბაქრაძის** სახელზე გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის, სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვისაგან** მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„19 ივლისს გამოფენის მთავარმა კომიტეტმა მიიღო საქართველოს სსრ პავილიონი. საუცხოო არქიტექტურული და მხატვრული გაფორმება, ექსპონატების სიუხვე მკაფიოდ ასახავენ საქართველოს კულტურის აყვავებას და მისი სოციალისტური სასოფლო მეურნეობის აღმავლობას. გამოფენის მთავარი კომიტეტი აღნიშნავს, რომ პავილიონის მუშაკთა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაშიც უმთავრესად ახალგაზრდა ნაციონალური კადრები არიან, უმოკლეს ვადაში შეასრულა დიდი მუშაობა პავილიონის შესაქმნელად და გასაფორმებლად. პავილიონი გამოფენის საუკეთესო პავილიონთა რიგებში ჩადგა და მიღებულია შეფასებით ფრიადზე. კოლექტივი დაჯილდოებული იქნება“. (საქდესი).

პავილიონი „საქართველო“

ორდენოსანი საქართველოს პავილიონი — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — მიღებულია გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ. იგი ლამაზად არის გაფორმებული ქართული ნაციონალური ხუროთმოძღვრების სტილით. ჭეშმარიტად დაუშრეტელია პავილიონის დარბაზებში წარმოდგენილი სიმდიდრე. რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ექსპონატები ბრწყინვალედ მოწმობენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას.

მთავარ დარბაზში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მხატვრულად შესრულებული მაკეტი გორის პატარა სახლისა, სადაც დაიბადა ამხანაგი სტალინი. მაკეტი სახლის ნატურალური სიდიდის ერთიმეოცედი ზომისაა და მის ზუსტ პირს წარმოადგენს.

სიყვარულითა და გულმოდგინედ არის გაფორმებული პავილიონის დარბაზები, რომლებიც საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებებს აცნობენ მნახველთ. აქ თავმოყრილია აყვავებული რესპუბლიკის საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევები. ლიმონი, ფორთოხალი, ვაშლი, თამბაქო, ჩაი, არახისი, მარცვლეული, ღვინო, შაქრის ჭარხალი, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის პროდუქტები — აი პავილიონის ექსპონატების არასრული სია.

მთავარი დარბაზის სარკეებში მოსჩანს საუცხოოდ აყვავებული ბაღი. აქ სუბტროპიკულ ორანჟერიაში იზრდება ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ციტრონი, ახალი ზელანდიის სელი, აგავი, ევკალიპტი, დრაცენა და სუბტროპიკული ეთეროვანი მცენარეები.

მთელ პავილიონს გარს არტყია საქართველოს მცენარეები — სწორად ამართული ბამბუკი, მწვანე ჩაის გორაკი, დაფნა და ხეხილის დიდი ბაღი. პატარა ნაკვეთზე ერთმანეთში გადახლართულა მწვანე ვაზი. (საქდესი).



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები დ. ჟორჟოლიანი (ჭიათურა), გ. ანდღულაძე (ჭიათურა), გ. ნარსია (ქუთაისი) და ს. ბურდული (თიანეთი).
ფოტო რ. აკოფოვისა

ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადის მონაწილეთა მიღება კრემლში

20 ივლისს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფიზკულტურელები—წითელ მოედანზე ჩატარებული ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადის მონაწილენი—პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს შეხვდნენ. საღამოს 9 საათისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზი გაიჭედა მოკავშირე რესპუბლიკათა, სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელების წარმომადგენლებით, დედაქალაქის წარჩინებული ადამიანებით.

ამხანაგების **სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ჟდანოვის, მიქოიანის, ბერიას, შვერნიკის, მალენკოვის** გამოჩენას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ეგებებიან. ყველანი ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ამხანაგ სტალინსა და მის თანამებრძოლთ. გაისმის ხმამაღალი „ვაშა“. მრავალგზის გაისმის სხვადასხვა ენაზე შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ სტალინს!“, „სალამი ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს!“.

ამხანაგმა მოლოტოვმა ყველა დამსწრეს—18 ივლისის შესანიშნავი ფიზკულტურული პარადის მონაწილეთ მიულოცა ფიზკულტურისა და სპორტის წარმატებანი და მთელი დარბაზის ოვაციაში წარმოსთქვა:

— გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელ ქალებსა და ვაჟებს, თქვენი სახით გაუმარჯოს და ბედნიერი იყოს მთელი საბჭოთა ხალხი და მისი ფიზკულტურელები—„ვაშა!“.

არაჩვეულებრივმა აღფრთოვანებამ მოიცვა ყველა დამსწრე, როდესაც ამხანაგმა მოლოტოვმა წარმოსთქვა:

— გაუმარჯოს ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს, გაუმარჯოს მას, ვინც ყველაზე ძვირფასი და საყვარელია მთელი ჩვენი ხალხისათვის, —) გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს—„ვაშა!“

დამსწრენი რამდენიმე წუთს დგანან ფეხზე და მიესალმებიან ამხანაგ სტალინს. დარბაზის ყველა კუთხიდან გაისმის შეძახილები სხვადასხვა ერთა ენებზე:

„ჩვენს მეგობარსა და მამას—დიდ სტალინს ვაშა!“

სიტყვას იღებს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ფიზკულტურელი ამხ. მამედოვა. ამხ. მამედოვა აზერბაიჯანელი ხალხის სახელით მხურვალედ მიესალმა ამხანაგ სტალინსა და მოლოტოვს, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის ყველა ხელმძღვანელს.

უზბეკეთის სს რესპუბლიკის ფიზკულტურელი ამხ. ისლამოვი თავის მოკლე სიტყვაში ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ბედნიერად და მხიარულად, რა კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს უზბეკეთის ახალგაზრდობა. ამხ. ისლამოვი დედაენაზე ლაპარაკობს, მაგრამ მისი სიტყვა ყველასათვის გასაგებია. და როცა ამხ. ისლამოვი აცხადებს: „ჩვენი ახალგაზრდობა მზად არის მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობასა და აყვავებასო“, —ყველა დამსწრენი ფეხზე დგებიან და ერთსულოვანი გატაცებით მართავენ მქუხარე ოვაციას.

ყველა შეკრებილნი უდიდესი ყურადღებით ისმენენ ამხ. სელეზნევის სიტყვას, რომელმაც საბრძოლო ფიზკულტურული წითელარმიული სალამი გადასცა ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, აგრეთვე ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ფიზკულტურელს.

— წითელი არმიის ფიზკულტურელები, — ამბობს ამხანაგი სელეზნევი,—რთულ საბრძოლო ტექნიკას ეუფლებიან, მაგრამ ამავე დროს ძალიან უყვართ ფიზკულტურა და თავიანთი საბრძოლო მომზადებისათვის იყენებენ მას.

დღეს ჩვენ სამხედრო თამაში მოვაწყეთ. ხვალ, თუ საჭირო იქნება, ჩვენი პარტიის მოწოდებისთანავე, ჩვენი საბჭოთა მთავრობის მოწოდებისთანავე ყველანი ერთსულოვნად გამოვალთ და ბრძოლის თამაშად ვაქცევთ ამ თამაშს, დავარტყამთ მტერს ისე, როგორც გვასწავლის ჩვენი სახკომი, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი.

თუ საჭირო იქნება, ხვალ ჩვენ, წითელი არმიის ფიზკულტურელები, სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, მთელ ხალხთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი, ჩვენი რკინისებური სახკომის საბრძოლო ხელმძღვანელობით, გავანადგურებთ მტრებს მათსავე ტერიტორიაზე.

დამსწრეთა აღფრთოვანებულ შეძახილებსა და „ვაშას“ გრიალში ამხ. სელეზნევი დღეგრძელობას უსურვებს ამხანაგებს სტალინსა და ვოროშილოვს.

ტაჯიკეთის ახალგაზრდობის სახელით ფიზკულტურელმა ამხ. ტურსუნოვამ მგზნებარე სალამი გადასცა ამხანაგებს — სტალინსა და მოლოტოვს, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის ყველა ხელმძღვანელს. შემდეგ უკრაინის ფიზკულტურელების სახელით გამოდის ამხ. ხომენკო.

— ჩვენ მოსკოვს ჩამოვედით, — ამბობს იგი,—რათა წითელ მოედანზე გვეჩვენებინა ჩვენი ძალა, ჩვენი ნებისყოფა, ჩვენი მზადყოფნა საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის. ვარწმუნებთ ჩვენს საბჭოთა მთავრობას, დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, რომ უკრაინის საზღვრები მაგრად არის დაკეტილი, და, თუ მტერი გაბედავს ჩვენს საზღვრებზე თავდასხმას, უკრაინელი ხალხი მზად არის გაანადგუროს მტერი მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე.

უკრაინელი ხალხისა და უკრაინის ფიზკულტურელთა სახელით ამხ. ხომენკო მადლობას უცხადებს მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომელსაც მეთაურობს ამხანაგი მოლოტოვი, და ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს—ბედნიერი ცხოვრებისათვის.

საქართველოს ფიზკულტურელების სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ჯორჯაძე, ხოლო სომხეთის ფიზკულტურელების სახელით—ამხ. ამბარცუმიანი. ამის შემდეგ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებსა და ფიზკულტურელებს შორის გულითადი და მეგობრული საუბარი გაიმართა.

ნაშუაღამევამდე გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფიზკულტურელთა შეხვედრა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან.

შეხვედრის დროს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სრულიად-საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები—ე. გილელსი, დ. გამრეკელი, ლ. გილელსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. რეიზენი, უზბეკეთის სსრ სახალხო არტისტი თამარ ხანუმ, სახელმწიფო ესტრადის არტისტები—მირზოიანცი და რეზცოვი, სახელმწიფო ცირკების არტისტები — გ. არკატოვი, ა. ცვეტკოვა, ლ. ცვეტკოვი და ა. ელკინი, მოსკოვის ოპერეტის თეატრის არტისტები—ლ. ლაზარევა, ო. ვლასოვა, და ი. ჯიდროიცი. რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ლ. ორლოვა, ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის არტისტები—ა. კობზევა, ვ. არსენიევი და ბორისოვი. დიდი წარმატებით შესრულდა მრავალფეროვანი პროგრამა სიმღერის და ცეკვის რკინიგზელთა ანსამბლმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. დუნაევსკის ხელმძღვანელობით და რკინიგზელთა ჯაზორკესტრმა (დირიჟორი დ. პოკრასი). (საქდესი).

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

ამ დღეებში გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის განახლდა მოლაპარაკება ვაჭრობისა და კრედიტის შესახებ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს ბერლინელი სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ამხ. ბაბარინი, გერმანიის მხრივ — ბ-ნი შნურე.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში

„საქჩაის“ 20 ივლისის ცნობებით

რაიონები	ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა ტონობით.	დამზადებულია სეზონის დასაწყისიდან ტონობით.	წლიური გეგმის შესრულება %-ობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით.
ბათუმი	1.705	917,5	53,8	56,3
ქობულეთი	7.848,6	4.250,8	54,2	60,8
გალი	3.128	1.994,9	63,8	62,5
ოჩამჩირე	1.793	1.093,9	61	53,3
სოხუმი	14	7,7	55	60
გუდაუთი	16	17,8	111,3	160
მახარაძე	10.011	5.358,4	53,5	65,2
ჩოხატაური	1.253	766,4	61,2	67
ლანჩხუთი	3.350	1.813,8	54,1	62,1
სამტრედია	261	167,2	64,1	55,2
წულუკიძე	1.151	690,1	60	55,8
ქუთაისი	317	232,4	73,3	52,6
ტყიბული	510	274,3	53,8	65,2
ცხაკაია	929	658,5	70,9	70,2
გეგეჭკორი	2.626	1.388,7	52,9	47,5
ზუგდიდი	4.881,4	2.971	60,9	60.3
წალენჯიხა	1.618	940,4	58,1	51,7
ჩხოროწყუ	1.302	819,1	62,9	63,3
ხობი	386	228,2	59,1	56,3
სულ:	**48.100**	**24,591,1**	**57,1**	**60,5**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება

ამხანაგებო, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

დაახლოვებით თვენახევრის წინათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მიიღო კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სტალინური ეპოქის ერთერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს. ის წარმოადგენს ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის ანგარიშის წიგნს, რომელშიაც სრულ განსახიერებას პოულობს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის არნახული ზრდა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში განსახიერებულია სოციალიზმის ის უდიდესი გამარჯვებები, რომელიც მოპოვებულია საბჭოთა ხალხის მიერ ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ დამტკიცებული მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ცხადჰყოფს სოციალიზმის ქვეყნის დაუშრეტელ შემოქმედებითს შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის სულ უფრო სწრაფ სამეურნეო და კულტურულ აღორძინებას, თავდაცვისუნარიანობის შეუჩერებელ ზრდას და ჩვენი მრავალერიანი ქვეყნის ხალხთა განუყრელ სტალინურ მეგობრობას.

პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების განმავლობაში დიდად გაიზარდა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო შეიქნა უძლეველ, მიუვალ ციხე-სიმაგრედ და არცერთ მტერს არ ძალუძს დაუსჯელად შემოჰყოს თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში. უკიდურესობამდე დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა ავალებს საბჭოთა კავშირის ხალხს შემდეგშიაც ყოველმხრივ გააძლიეროს თავისი თავდაცვითი უნარიანობა.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები დიდი ენტუზიაზმით და ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ მესამე სესიის გადაწყვეტილებას 1939 წლის ბიუჯეტში თავდაცვითი ღონისძიებებზე 40.885 მილ. მანეთის გათვალისწინების შესახებ. და ეს გასაგებიცაა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილება თავდაცვითი ღონისძიებებზე სახსრების გადიდების შესახებ გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფას.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში დიდად გაიზარდა საბჭოთა ქვეყნის ფინანსიური სიძლიერე. საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის და საბჭოთა კავშირის სიმტკიცე საყოველთაოდ ცნობილია. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები, პირველ რიგში კი ფაშისტური ქვეყნების ბიუჯეტები, კოლოსალური სამხედრო ხარჯებით დამძიმებულნი, იმყოფებიან კატასტროფულ მდგომარეობაში, განიცდიან ქრონიკულ დეფიციტს, რომლის დაფარვაც შეუძლებელი ხდება როგორც სახელმწიფო კაბალური სესხებით, ისე მძარცველური გადასახადებით მშრომელ მოსახლეობაზე, საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი სულ უფრო და უფრო მტკიცდება. ჩვენმა ბიუჯეტმა არ იცის დეფიციტი. ის ეყრდნობა განუწყვეტლივ მზარდ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ დაგროვებას და ემსახურება ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1939 წლის ბიუჯეტი შედგენილია მესამე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო მეურნეობის სტალინური გეგმის შესაბამისად და მთლიანად გამომდინარეობს საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიული XVIII ყრილობის გადაწყვეტილებიდან, — იმ ამოცანებიდან, რომელიც დასახა ჩვენი ქვეყნის წინაშე ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობამ დასახა კომუნიზმის გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის უდიდესი პროგრამა. მან დარაზმა სოციალიზმის მშენებელთა მრავალმილიონიანი არმია საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადასაჭრელად. ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგენს მესამე სტალინურ ხუთწლედს მოქმედებაში, სრულად ასახავს XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პოლიტიკურ მიზანდასახულობას.

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად აგებულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევ საფუძველზე. სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირში შემავალი ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების შემდგომ, სულ უფრო სწრაფ სამეურნეო და კულტურულ აღორძინებას.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებულია 1.147,8 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც აღემატება 1938 წლის ბიუჯეტს 67,6 მილიონი მანეთით, 1937 წლის ბიუჯეტს კი — 195 მილიონ მანეთით.

მეორე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის — 1933 წლის — ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით 1938 წლის ბიუჯეტი იზრდება 3,8-ჯერ.

ეს ციფრები ნათლად მოწმობენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას.

„საქართველო, ისევე როგორც მეფის რუსეთის მრავალი სხვა „განაპირა მხარე“, რომელიც ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა ცარიზმისა და თავის მემამულე-ფეოდალთა მხრივ წარსულში ღარიბი, გალატაკებული და უუფლებო საქართველო, ახლა ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა“. (ლ. ბერია. სიტყვა კავშირის საბჭ. და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 21/VIII გაერთიანებულ სხდომაზე).

სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელების შედეგად საქართველოში შექმნილია მრეწველობის საკმაოდ განვითარებული დარგები — კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის და სხვ. მძიმე მრეწველობის ხაზით შექმნილია წარმოებები ელექტრონის, მანქანათმშენებლობის, სამთამადნო, მარგანეცის, ქვანახშირის და სხვ.

სრულიად შეიცვალა სოფლის მეურნეობის სახე და მისი მიმართულება. დღეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა გვაძლევს ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ძვირფას პროდუქტებს. ჩაის პლანტაციების ფართობი 1939 წელს უკვე აღემატება 46 ათას ჰექტარს და ციტრუსოვანი მცენარეებისა — 16 ათას ჰექტარს. ასევე გაზრდილია ტექნიკური კულტურების ფართობები (თამბაქო, ვენახები და სხვ.).

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო გარდაქმნას და აღორძინებას თან მოჰყვა სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდა. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საქართველოში შექმნილია 2[illegible] ახალი თეატრი, 235 ხმოვანი კინოდანადგარი, 265 კლუბი და 418 მასობრივი ბიბლიოთეკა.

საქართველოს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში ამჟამად სწავლობს 700 ათას მოსწავლეზე მეტი. მოსწავლეთა რიცხვი სკოლებში 1914 წელთან შედარებით თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. დღეს საქართველოში გვაქვს 21 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 22 ათას სტუდენტზე მეტი.

საგრძნობლად გაიზარდა სამკურნალო დაწესებულებების ქსელი. 1939 წელში საქართველოში ქალაქად გვაქვს 1416 ამბულატორია, სოფლად 768 საექიმო უბანი, საწოლების რიცხვი ქალაქად და კლინიკურ საავადმყოფოებში აღწევს 6.694, საწოლების რიცხვი სოფლის საავადმყოფოებში — 1958 და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში — 785.

დედათა და ბავშვთა დაცვის დარგში — სამშობიარო სახლებში საწოლების რაოდენობა უდრის 1157, საბავშვო ბაგებში კი — 11.022.

ეს უდიდესი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის უდიდესი აღმავლობა საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც ჩვენი კავშირის სხვა რესპუბლიკებში, მიღწეულია საკავშირო კომუნისტური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. **(ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ადგილიდან: გაუმარჯოს დიდ სტალინს ვაშა! **(ტაში).**

ორდენოსანი საქართველოს სახალხო მეურნეობის აყვავებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდი სტალინის თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს [illegible] ორგანიზაციებს და რომელმაც დანერგა საქართველოს ბოლშევიკებში ხელმძღვანელობის და მუშაობის სტალინური მეთოდი. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ადგილიდან:** გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას (ტაში).** ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერით გაანადგურეს ხალხის საზიზღარი მტრები, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტები. ქართველი ხალხი დღეს, ისე როგორც არასოდეს, შემჭიდროებულია საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის გარშემო. **(ხანგრძლივი ტაში).**

I. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები

1937 საანგარიშო წელმა მოგვცა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდა და აღმავლობა.

საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ მთლიანად ასახა საქართველოს სოციალისტური ეკონომიკის ზრდა და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლება.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მიიღეს წერილობითი ანგარიში განმარტების ბარათით 1937 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგები გამოიხატება: სახელმწიფო ბიუჯეტი, დამტკიცებული სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვიდე მოწვევის მესამე სესიის მიერ, საკავშირო ორგანოების მიერ შეტანილი ცვლილებების შემდეგ მიღებულ იქნა 808.872 ათასი მანეთის რაოდენობით.

ბიუჯეტი შესრულებულ იქნა საშემოსავლო ნაწილში 805.396 ათასი მანეთის რაოდენობით, ანუ 99,6%, საგასავლო ნაწილში კი 789.091 ათ. მან. რაოდენობით, ანუ 97,6 %.

საბიუჯეტო შემოსავლის გეგმა ცალკე სახეების მიხედვით — 782.918 ათ. მან. შესრულებულ იქნა 799.338 ათ. მან. რაოდენობით, ე. ი. 16.420 ათ. მან. გადაჭარბებით, მაგრამ კაპიტალურ მშენებლობაზე აუთვისებელი კრედიტების დახურვისა და საკავშირო ბიუჯეტთან ურთიერთ ანგარიშსწორების შედეგად საშემოსავლო ნაწილის შესრულება საერთო ჯამში გამოიხატა ნაკლები რაოდენობით.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა საანგარიშო მასალების გადათვალიერების დროს ალბათ შეამჩნიეს, რომ 1937 წელს საკავშირო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის თითქმის თვითეულ კარში ადგილი აქვს სახსრების შესამჩნევ აუთვისებლობას (გარდა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, კომუნალური მეურნეობისა და მმართველობის ხარჯებისა ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით).

რესპუბლიკურ ბიუჯეტში სახსრების აუთვისებლობას ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობის ხაზით 6,5 %-ით, ანუ 7 მილიონი მანეთით, სოცკულტურულ ღონისძიებებზე აბსოლუტურ ციფრებში 11 მილიონ მანეთზე მეტით, ანუ 4,5 %-ით, მათ შორის: განათლების ხაზით — 3,2 %-ით, ჯანმრთელობის დაცვის ხაზით — 6,0 %-ით და სოცუზრუნველყოფის ხაზით — 8,1 %-ით. ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების დროს სახსრების მნიშვნელოვან აუთვისებლობას ჰქონდა ადგილი სოცკულტურულ ღონისძიებებზე. განათლებაზე და ჯანმრთელობაზე 1937 წელში გათვალისწინებული იყო 381 მილიონი მანეთი, ათვისებულ იქნა 352,5 მილიონი მანეთი, აუთვისებელი დარჩა განათლების ხაზით 17,3 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის ხაზით 11,5 მილიონი მანეთი, სულ 28,8 მილიონი მანეთი.

სამაგიეროდ ადგილობრივ ბიუჯეტში სოცკულტურული ღონისძიებების ანგარიშით დაშვებული იყო საგრძნობი გადახარჯვები კომუნალურ მეურნეობაში 7,1 მილიონ მანეთზე მეტი და მმართველობის ხარჯებზე 3 მილიონ მანეთზე მეტი.

ადგილობრივი ბიუჯეტების საგასავლო ნაწილში საგრძნობ აუთვისებლობას ჰქონდა ადგილი კაპიტალურ დაბანდებებზე — 9,7 მილიონი მანეთის რაოდენობით, ხელფასზე — 9,5 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის განათლების ხაზით 5 მილიონი მანეთი და ჯანმრთელობის ხაზით 4 მილიონ მანეთზე მეტი; კვებაზე 6,2 მილიონი მანეთი, მათ შორის ჯანმრთელობის ხაზით — 3,5 მილიონი მანეთი, განათლების ხაზით (საბავშვო ბაღები) 2,7 მილიონ მანეთამდე.

როგორც ზემოთმოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითად ნაკლს შეადგენს ცალკე უწყებების და ადგილობრივი ორგანოების მიერ არასაკმაო ბრძოლა ბიუჯეტის შესრულებისათვის, ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მთლიანად და პირდაპირი დანიშნულებით ათვისებისათვის. მეორე მხრივ, ცალკე კომისარიატების, უწყებების და ადგილობრივი ორგანოების მიერ ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო და საფინანსო დისციპლინის დარღვევებს და დამახინჯებებს. მაგალითად, საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შემავალმა სავაჭრო ორგანიზაციებმა 1937 წელი დაამთავრეს 7.336 ათ. მანეთის ზარალით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული მოგებისა 11.730 ათ. მანეთის რაოდენობით. უყაირათობის შედეგად სავაჭრო ორგანიზაციებმა დაუშვეს გადახარჯვა ზედნადებ ხარჯებზე 7.879 ათ. მან. რაოდენობით.

მსუბუქი მრეწველობის ხაზით დაშვებულ იქნა გადახარჯვა 2.253 ათ. მან., სატყეო მრეწველობის ხაზით 914 ათ. მან.

კვების მრეწველობის ხაზით ზარალი მიიღეს ხორცტრესტმა 1.848 ათ. მან. ნაცვლად ნავარაუდევი მოგებისა 966 ათ. მან. რაოდენობით; კვებმშენმა 2.422 ათ. მან. და სხვ.

ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით საბიუჯეტო საფინანსო დისციპლინის დარღვევას ხელს უწყობდა ზოგიერთი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შტატებისა და ხელფასის განაკვეთების თვითნებურად გადიდება, უმთავრესად სოფლის საბჭოებში, რის შედეგად დაშვებულ იქნა საგრძნობი გადახარჯვა მმართველობის ხარჯებში, როგორც ზევით იყო აღნიშნული, 3.055 ათ. მან. რაოდენობით.

გარდა ამისა, ადგილობრივი ორგანოები ხშირად არ იცავდნენ დამტკიცებულ კონტინგენტს და ხარჯთაღრიცხვას და ზემდგომი ორგანოების ნებადაურთველად აწარმოებდნენ ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევას. მაგალითად, 1937 წელში საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების გარეშე გახსნილი იყო დამატებითი კლასები ადიგენის რაიონში 16, ახალქალაქის რაიონში—28, გორის რაიონში—71, ზუგდიდის რაიონში—33, თელავის რაიონში—27, ლაგოდეხის რაიონში—28, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში—60, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 64 და ა. შ., იმ დროს, როდესაც გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა კონტინგენტი თითქმის ყველგან შემცირებული იყო, — ადიგენის რაიონში 1.479 ბავშვით, ახალქალაქის რაიონში 1032 ბავშვით, გორის რაიონში—1025 ბავშვით და სხვა.

ყველა ეს საბიუჯეტო დარღვევები შედეგია საფინანსო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შესძლეს სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე სათანადო კონტროლის დაწესება.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საფინანსო - საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევებს ადგილი ჰქონდა 1938 წელშიაც.

1939 წელი უნდა გადაიქცეს გარდატეხის წლად საფინანსო დისციპლინის განმტკიცების და სახელმწიფო სახსრების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვის საქმეში. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო სახსრების არადანიშნულებით გამოყენებას და გადახარჯვის ფაქტებს. საფინანსო კონტროლი მაქსიმალურად უნდა იქნეს გაძლიერებული და სახელმწიფო სახსრების განიავებაში დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

II. 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემოაქვს უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველოს რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულია საშემოსავლო ნაწილში 1.156.207 ათ. მან. და საგასავლო ნაწილში 1.156.207 ათ. მან. რაოდენობით.

1939 წლის ბიუჯეტის მოცულობა, როგორც ვხედავთ, აღემატება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ საქართველოს რესპუბლიკისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობას 8.401 ათ. მან. რაოდენობით.

ბიუჯეტის მოცულობის გაზრდა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

ა) სახალხო მეურნეობის ხაზით საფინანსო გეგმების დეტალურად განხილვისას საჭირო შეიქნა ზოგიერთი ცვლილებების შეტანა ბიუჯეტით სახსრების გადანაწილებაში. ეს ცვლილებები შეეხო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რაიონულ მრეწველობას და აგრეთვე ადგილობრივ ბაზრებს. ამ ცვლილებებმა საფინანსო გეგმებში გამოიწვია ბიუჯეტის მოცულობის გადიდება 5.546 ათ. მან.;

ბ) ცალკე უწყებებში გამოვლინებულ იქნა დამატებითი საშემოსავლო წყაროები დაახლოვებით 8 მილიონ მანეთამდე; მაგრამ ამავე დროს სხვა უწყებებში 1938 წლის წლიური ანგარიშების საფუძველზე საფინანსო გეგმების დაზუსტების შედეგად გამოირკვა, რომ საბიუჯეტო შემოსავლები არ იყო გამართლებული (მსუბუქი მრეწველობა, ადგილობრივი მრეწველობა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატი). საბოლოო ჯამში ზედმეტი შემოსავლები გამოვლინებული იქნა 2.855 ათ. მან. რაოდენობით, რამაც გავლენა იქონია ბიუჯეტის მოცულობაზე.

დამატებით გამოვლინებული სახსრები 2.855 ათ. მან. რაოდენობით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ხაზით საბრუნავი სახსრების გასაძლიერებლად მსუბუქ მრეწველობაში, სახელმწიფო ვაჭრობაში და ადგილობრივ და რაიონულ მრეწველობაში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი შესდგება შემდეგი წყაროებიდან:

(ათას მანეთებში)

	ფაქტიური შესრულება 1938 წელში	მიღებულია 1939 წლისათვის	ზრდა — შემცირება	
			აბსოლუტ. ციფრებში	%%-ში
1. ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან	703.305	669.964	— 33.341	— 4,7
2. ანარიცხები მოგებიდან . . .	171.012	207 490	+ 35.588	+21,3
3. გადასახადები და გამოსაღებები	156.040	162.675	+ 6.635	+ 4,2
4. სახელმწიფო სესხები	26.733	49.700	+ 22.967	+85,9
5. სხვადასხვა შემოსავლები . . .	22.629	66.378	+ 43.749	+193,3
სულ	1.080,619	1.156.207	+ 75.588	+ 7,0

1939 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის წყაროების დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბრუნვითი გადასახადის ანარიცხების შემცირებას როგორც აბსოლუტურად, ისე ხვედრითი წონის მიხედვით 1938 წელთან შედარებით. ბრუნვის გადასახადის ხვედრითი წონა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში 1938 წელთან შედარებით შემცირდა 65%-დან 58%-მდე 1939 წელში, ე. ი. 7%-ით; სამაგიეროდ საგრძნობლად გაიზარდა რესპუბლიკის საკუთარი შემოსავალი.

ბრუნვის გადასახადის გეგმა 1939 წლისათვის საქართველოში დაწესებულია 1.355,6 მილ. მან. რაოდენობით, ე. ი. 1938 წელთან შედარებით 14,3 %-ით მეტი.

ბრუნვის გადასახადის გეგმის ზრდა 1938 წელთან შედარებით აიხსნება უმთავრესად სამრეწველო პროდუქციის და საქონლის რეალიზაციის გეგმების სათანადო გადიდებით 1939 წელში.

ბრუნვის გადასახადს ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ხვედრითი წონა შეადგენს ყველა საშემოსავლო წყაროების თითქმის 58%-ს. ამავე დროს ამ გადასახადს მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს, არამედ, როგორც საქონლის წარმოების და ბრუნვის კონტროლის იარაღსაც.

ბრუნვის გადასახადის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა კარგი მუშაობა არა მარტო საფინანსო ორგანოებისა, არამედ საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციებისაც. საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციებმა, რომლებიც იხდიან ამ გადასახადს, გააუმჯობესონ თავისი მუშაობა როგორც საქონლის გამომუშავების, აგრეთვე საქონლის ბრუნვის გაძლიერების საქმეში.

ეს გარემოება მოითხოვს სამეურნეო ორგანოების, ადგილობრივი რაიონული აღმასკომების და ქალაქის საბჭოების მუშაობის ძალზე გაუმჯობესებას, რომ სახელმწიფო შემოსავლების გეგმა შესრულდეს და, მაშასადამე, უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო მეურნეობის ნორმალური დაფინანსება. საჭიროა პირველ ყოვლისა გავაუმჯობესოთ წარმოების მუშაობა, გავზარდოთ საქონლის გამოშვება და მოვაწყოთ საქონლის გასაღების საქმე. საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა. სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა იგრძნონ მეტი პასუხისმგებლობა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესრულების საქმეში.

სახელმწიფო შემოსავლების გეგმის შესრულებაში როგორც საფინანსო ორგანოებმა, ისე სამეურნეო ორგანიზაციებმა 1939 წლის პირველ ნახევარში მოგვცეს მუშაობის კარგი მაგალითები; ბრუნვის გადასახადის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 107%-ით. საგრძნობლად იქნა შემცირებული ბრუნვის გადასახადის ნარჩენები.

ეს მაჩვენებლები მოწმობენ, რომ თუ კარგად გამოვიყენებთ ყველა ჩვენს შესაძლებლობებს, არამც თუ შევასრულებთ, არამედ გადავაჭარბებთ კიდეც 1939 წლის დავალებებს სახელმწიფო შემოსავლების ხაზით.

ბიუჯეტის მნიშვნელოვან საშემოსავლო წყაროდ უნდა ჩაითვალოს ანარიცხები მოგებიდან და სხვა შემოსავალი განსაზოგადოებული სექტორიდან, რომელიც ჩვენს ბიუჯეტში შეადგენს 207.490 ათას მანეთს, ნაცვლად გასულ წელში ფაქტიური შესრულებისა—171.912 ათ. მანეთის რაოდენობით.

მოგების ანარიცხების ძირითადი თანხა მოდის მრეწველობაზე. ეს თანხა გასულ წელთან შედარებით იზრდება 29,4%-ით, ბიუჯეტში ანარიცხების გადიდება მრეწველობის ხაზით შედეგია პროდუქციის გამოშვების ზრდისა, თვითღირებულების შემცირებისა და აგრეთვე მთელ რიგ საწარმოთა უდეფიციტო მუშაობაზე გადასვლისა (ხორცის, [illegible]-კარაქმრეწვის, ფეხსაცმლის, ჯაგარის ქარხნის და სააღმშენებლო ორგანიზაციების უმრავლესობა).

მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით 1939 წლის დაგროვებაში გათვალისწინებულია თვითღირებულების შემცირება:

მსუბუქი მრეწველობის ხაზით 0,9 %-ით;

კვების მრეწველობის ხაზით 2,4 %-ით;

ადგილობრივი მრეწველობის ხაზით 3%-ით;

სატყეო მრეწველობის ხაზით 5,2%-ით.

მრეწველობის 1939 წლის საფინანსო გეგმით გათვალისწინებულია დაგროვების ზრდა 1938 წელთან შედარებით 55,9%-ით. მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით დაგროვება იზრდება:

კვების მრეწველობის ხაზით 48,2%-ით;

მსუბუქი მრეწველობის ხაზით 81.4%-ით;

სატყეო მრეწველობის ხაზით 64,8%-ით;

ადგილობრ. მრეწველობ. ხაზით 63,7%-ით და ასე შემდეგ.

სახელმწიფო ბიუჯეტში მოგებათა ანარიცხების გეგმა მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ზოგიერთი საწარმოების მიერ შესრულებულია არადამაკმაყოფილებლად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს სახალხო მეურნეობის ნორმალურ დაფინანსებაზე.

ეს ეხება განსაკუთრებით მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატებში შემავალ ზოგიერთ საწარმოებს. მსუბუქი მრეწველობის კომისარიატის ხაზით მოგების ანარიცხების წლიური გეგმა შესრულებულია 43,3%-ით და ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის ხაზით—41,6%-ით.

საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციებმა, პირველ რიგში კი აღნიშნულმა კომისარიატებმა, გააუმჯობესონ მუშაობა, გააძლიერონ ყოველდღიური ბრძოლა დაგროვების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შემოსავალი განსაზოგადოებული სექტორიდან (საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი არასასაქონლო ოპერაციებიდან) წარსულ წლებთან შედარებით იზრდება 4 მილიონი მანეთით, რაც აიხსნება კოოპერაციის ხაზით დაგროვების ზრდით გასულ წელთან შედარებით და არასასაქონლო ოპერაციების დასაბეგრი ობიექტების ზრდით (ახალი სასტუმროების ექსპლოატაციაში გადაცემა, ავტოგადაზიდვათა გაძლიერება და სხვ.).

გადასახადები და გამოსაღებები მოსახლეობიდან

გადასახადები და გამოსაღებები მოსახლეობიდან გასულ წლებთან შედარებით საერთო ჯამში იზრდება მცირე რაოდენობით (6.635 ათ. მან.). ეს გამოწვეულია იმით, რომ გასულ წელთან შედარებით კოლმეურნეებზე და ინდივიდუალურ მეურნეობებზე სასოფლო - სამეურნეო გადასახადის, კულტგამოსაღების, ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯამი, სოფლად კოლექტივიზაციის ზრდის გამო, მცირდება 9,3%-ით. ყველა დანარჩენი გადასახადები კი იზრდება საგრძნობლად, მათ შორის: კულტგამოსაღები ქალაქად—20,5%-ით, საშემოსავლო გადასახადი მოსახლეობიდან 18%-ით და სხვ.

გადასახადების და გამოსაღებების საერთო ზრდა 1939 წელში, გასულ წელთან შედარებით, გამოწვეულია მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის ზრდით და ხელფასის ფონდის გადიდებით.

საჭიროა ჩვენმა საფინანსო ორგანოებმა საგრძნობლად გააძლიერონ მუშაობა ქალაქის გადასახადებისა და სას.-სამეურნეო გადასახადის გეგმების შესრულებისათვის.

თუმცა 1939 წლის 6 თვის გეგმის შესრულება მასობრივი გადასახადების ხაზით გვაძლევს იმის იმედს, რომ წლიური საბიუჯეტო გეგმა შესრულებული იქნება, მაგრამ გადასახადთა ცალკე სახეებში გვაქვს საგრძნობი ჩამორჩენა. ჩამორჩენას ადგილი აქვს სას.-სამეურნეო გადასახადში, კულტგამოსაღებში სოფლად და სახელმწიფო გადასახადში ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე, სადაც დღემდის კიდევ არ არის ლიკვიდირებული გასული წლის ნარჩენები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რაიონები გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს მასობრივ გადასახადებში, ჩამორჩებიან შემდეგი რაიონები: თელავის, თბილისის, ყაზბეგის, ყვარლის, საგარეჯოს და ხაშურის.

საგადასახადო მუშაობის გაუმჯობესება, რასაც საქართველოს საფინანსო ორგანოებმა 1939 წელში მიაღწიეს, სრულიად არ არის საკმარისი, განსაკუთრებით კი სოფლად.

საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის 1938 წ. 19 აპრილის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ ერთპიროვნული მეურნეობები ფაქტიურად თავს არიდებდნენ სახელმწიფოს წინაშე ფინანსიური ვალდებულებების შესრულებას და კოლმეურნეებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში რჩებოდნენ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონებში დღემდის არ არის აღმოფხვრილი ერთპიროვნულ მეურნეობათა უგულებელყოფის ფაქტები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ა./წ. 1 ივლისისათვის სოფლის გადასახადთა ყველა ნარჩენებიდან — 1.012 ათ. მანეთიდან, ერთპიროვნულ მეურნეობებზე ირიცხება 921 ათ. მანეთი, ანუ 91%. ნარჩენები ერთპიროვნულ მეურნეობებზე ირიცხება თბილისის რაიონში 130 ათ. მან., თელავის რაიონში—457 ათ. მან., ბაშკიჩეთის რაიონში — 36 ათ. მან. და სხვ.

აღნიშნული რაიონების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გამოიტანონ შესაფერი დასკვნა და დროზე გარდაქმნან თავისი მუშაობა სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ცხოვრებაში ზუსტად გატარებისათვის.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს საფინანსო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა არაკოოპერირებულ ხელოსანთა და მრეწველთა შემოსავლების გამოვლინების საქმეში. ეს საკითხი უმთავრესად ეხება ქალ. თბილისს, ქუთაისს, სოხუმს და ბათუმს, სადაც კერძო ხელოსნები და მრეწველები, ნაცვლად პატიოსანი შრომისა, ეწევიან სპეკულაციურ საქმიანობას.

საკავშირო ფინსახკომის მიერ ამ მოკლე ხანში ჩატარებულმა რევიზიამ გამოავლინა აგრეთვე სუსტი მუშაობა საქართველოს საფინანსო ორგანოებისა სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის შემოსავლის გამოანგარიშებისა და დაბეგვრის საქმეში. საჭიროა სარეწაო კოოპერატიული კავშირის გამგეობამ და ადგილობრივმა ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის მუშაობას და მიიღონ საჭირო ზომები ამ სისტემის გაჯანსაღებისათვის.

სახელმწიფო სესხები

სახელმწიფო სესხებს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის დაფინანსების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელები სახელმწიფო სესხის გავრცელების საქმეს. ჩვენი სესხის წარმატებით გავრცელებაში გამოსჭვივის საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი, მათი უდიდესი ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი.

საბჭოთა სახელმწიფო სესხების განვითარებას საფუძვლად უდევს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის აღმავლობა, მშრომელთა კეთილდღეობის დონის განუხრელი ზრდა. საბჭოთა მთავრობის მიერ გასულ წელში გამოშვებული მესამე ხუთწლედის პირველი წლის გამოშვების სესხი საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც დანარჩენ რესპუბლიკებშიც, დიდი ენტუზიაზმით გავრცელდა. ხელის მოწერამ და შენატანებმა სესხზე საქართველოს რესპუბლიკაში შეადგინა 98.675 ათასი მანეთი, ანუ გაიზარდა წინა წლის გამოშვების სესხთან შედარებით 24,3%-ით.

საკოლმეურნეო წყობის განმტკიცების და კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის ზრდის შედეგად ხელის მოწერამ სოფლად მიაღწია 17.400 ათ. მან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სესხის რეალიზაციის საქმეში შესაძლებელია მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს, ამისათვის კი საჭიროა სათანადოდ მოვკიდოთ ხელი მასობრივ მუშაობას. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გასული წლების სახელმწიფო სესხის რეალიზაციის და შენატანების აკრეფის საქმეში ჩვენი საფინანსო ორგანოები კარგად ვერ გამოიყურებიან.

1939 წლის ბიუჯეტით შემოსავლები სესხის რეალიზაციიდან გათვალისწინებულია 49.700 ათ. მან., ე. ი. იზრდება გასულ წელთან შედარებით 85,9%-ით. ეს ზრდა ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლებში გამოწვეულია ძირითადად ანარიცხების პროცენტების შეცვლით. მუშა-მოსამსახურეთა და ქალაქის სხვა მოსახლეობაში გავრცელებული სესხებიდან ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხება 50% ნაცვლად დაწესებული 25%-ისა და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

საქართველოს სსრ I-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. **ქ. ციმაკურიძის** მოხსენება

მეურნეთა შორის გავრცელებული ჯამის შემოსავლიდან 90% ნაცვლად 50%-ისა.

სახელმწიფო სესხებიდან პროცენტული ანარიცხების გადიდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სასარგებლოდ წარმოადგენს ერთერთ ღონისძიებას ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარი სასემოსავლო წყაროების განსამტკიცებლად. ამიტომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ამოცანას წარმოადგენს მეტი სერიოზულობით მოეპყრან სესხის გავრცელების საქმეს, განსაკუთრებით სოფლად, სადაც უფრო დიდი შესაძლებლობანი გვაქვს.

სხვადასხვა შემოსავლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ჩვენს ბიუჯეტში 66.378 ათ. მან. რაოდენობით, შედის 1938 წლიდან გადმოყოლილი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი და სოცდაზღვევის სახსრები.

სხვადასხვა შემოსავლებში ზრდა გამოწვეულია იმით, რომ ჩვენს ბიუჯეტში წელს პირველად იქნა შეტანილი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები 53 მილიონი მანეთის რაოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია პენსიების გასაცემად უმუშევარ პენსიონერებზე და მიღებული იქნება საკავშირო ბიუჯეტიდან.

ასეთია, ამხანაგებო, 1939 წლის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სურათი.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება სამეურნეო ორგანიზაციებისა და საფინანსო აპარატისაგან მოითხოვს მტკიცე ბოლშევიკურ მუშაობას. 1939 წლის შემოსავლების გეგმის შესრულებისათვის მთავარია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიერ საწარმოო გეგმების და საქონლის ბრუნვის გეგმების აუცილებლად შესრულება. საჭიროა, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები თავდადებით იბრძოდნენ სოციალისტური დაგროვების შემდგომი გადიდებისათვის და ჩვენს საწარმოო წამოწყებათა ყველა რეზერვების მთლიანად გამოვლინებისა და გამოყენებისათვის.

საჭიროა ყოველმხრივ ავამაღლოთ და შევქმნათ მტკიცე საგადასახადო დისციპლინა. საფინანსო ორგანოების მუშაკები ვალდებული არიან მაქსიმალურად გაამაგრონ საფინანსო დისციპლინა როგორც სამეურნეო ორგანიზაციებში, ისე მოსახლეობაში, რომ დროზე იქნას შესრულებული საფინანსო ვალდებულებანი ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

დიდი აღფრთოვანება და ენტუზიაზმი, რომლითაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეხვდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიული XVIII ყრილობის დადგენილებებს, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წელში წარმატებით იქნება შესრულებული.

III. 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლები

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც შედის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები, საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ მიღებულია 1.156.207 ათ. მან. რაოდენობით, ნაცვლად 1938 წ. ფაქტიური შესრულებისა 1.069.096 ათ. მან., ანუ 8,1 % მეტი.

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი მთავარი კარების მიხედვით, 1938 წლის ბიუჯეტთან შედარებით გამოიხატება შემდეგში:

	დანახარჯი 1938 წელში	გეგმა 1939 წ.	ზრდა—ან შემცირება	
			აბსოლუტ. ციფრებში	%%-ში
1. სახ. მეურნეობა	252.436	243.907	— 8.529	— 3,4
2. სოც.კულტ. ღონისძიებანი	709.319	813.478	+ 104.161	+ 14,7
მათ შორის				
ა) განათლება	474.393	545.912	+ 71.519	+ 15,1
ბ) ჯანმრთელობის დაცვა	184.475	204.396	+ 19.921	+ 10,8
3. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების შენახვა	91.194	87.848	— 3.346	— 3,7
4. დანარჩენი ხარჯები . .	16.147	10.972	— 5.175	— —
სულ	1.069.096	1.156.207	+ 87.111	+ 8,1

ამ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ბიუჯეტის დიდი ნაწილი—70,3 % იხარჯება სოც.კულტურულ ღონისძიებებზე. სოც.კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების ზრდა მთლიანად გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომელიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის მიერ.

ზემოთმოყვანილი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი როლი ითამაშა და რა როლს თამაშობს საბჭოთა ბიუჯეტი ჩვენი ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეში, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაში.

მისი ხვედრითი წონის მიხედვით მრავალი ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის დაფინანსებას, სადაც 1939 წელში დაბანდებული უნდა იქნას 243.907 ათასი მანეთი, ე. ი. ბიუჯეტის მთელი დანახარჯების 21,1 %.

გასულ წელთან შედარებით სახალხო მეურნეობაში შემცირება გამოწვეულია კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებით დაახლოებით 37,5 მილიონი მანეთით. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებას გასულ წელთან შედარებით, დანახარჯები სახალხო მეურნეობაში იზრდება 14,7 %-ით.

საჭიროდ მიმაჩნია დეპუტატების ყურადღება მივაპყრო მმართველობის და სასამართლო ორგანოების შეანახი ხარჯების შემცირებაზე.

თანახმად უმაღლესი ორგანოების დირექტივებისა, წელს ბიუჯეტი ითვალისწინებს მმართველობის აპარატში ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირებას 5 %-ით. ეს დირექტივა მთლიანად შეესაბამება საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოცდაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“, რასაც შედეგად მოჰყვა შრომის ნაყოფიერების გაზრდა, სამუშაო დღის შემჭიდროება და უსაქმურების, შრომის დეზერტირების განდევნა ჩვენი საბჭოთა აპარატიდან. ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა და საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელებმა მომავალშიაც უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეამჭიდროონ სამუშაო დღე, ზუსტად დაიცვან შრომის დისციპლინა და გააიაფონ საბჭოთა აპარატის შენახვა.

სახალხო მეურნეობის დაფინანსება

სახალხო მეურნეობის დაფინანსება სწარმოებს საფინანსო გეგმების მიხედვით, რომელიც შედგენილია 1939 წლისათვის დამტკიცებული სახალხო მეურნეობის გეგმის მაჩვენებლების მიხედვით და უზრუნველჰყოფს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას მესამე ხუთწლედში.

სახალხო მეურნეობაზე, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ბიუჯეტით გაღებული იქნება 243.907 ათ. მან., აქედან: მრეწველობაზე 86,8 მილ. მან., სოფლის მეურნეობაზე 44,6 მილ. მან., კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე 79,4 მილ. მან., გზათა მთავარ სამმართველოს ხაზით 16,7 მილ. მან., ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით 7,5 მილ. მან. და სხვ.

1939 წლის საფინანსო გეგმების მიხედვით სახალხო მეურნეობაში დაბანდებათა მოცულობა უდრის 591,2 მილიონ მანეთს, აქედან მრეწველობაში 258,5 მილ. მან., სოფლის მეურნეობაში — 53,8 მილ. მან., კომუნალურ და საბინაო მშენებლობაში—173,8 მილიონ მანეთს.

სახალხო მეურნეობაში დაბანდებების მთელი ჯამიდან (591,2 მილ. მან.) ბიუჯეტით იფარება 243,9 მილ. მან., ანუ მთელი დაბანდებების 41,2 პროც., სახალხო მეურნეობის საკუთარი სახსრებით კი 347,3 მილ. მან., ანუ 58,8 %.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება გათვალისწინებულია 66,9 მილ. მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს მთელ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 53,5%. ბიუჯეტის ასეთი მონაწილეობა კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში მოწმობს სახელმწიფო ბიუჯეტის როლის გაზრდას სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების გაძლიერების საქმეში.

კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება (გარდა კოოპერაციისა) ცალკე დარგების მიხედვით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

(მილიონ მანეთებში)

	კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა	მათ რიცხვში იფარება			ბიუჯეტიდან დაფინანსების %
		რესპ. ბიუჯეტიდან	ადგილ. ბიუჯეტიდან	სულ	
1 მრეწველობა	47,9	21,7	—	21,7	45,3
2. სახ. მეურნეობის სხვა დარგები	40,8	5,9	12,7	18,6	45,6
3. სოც.-კულტურული ღონისძიებანი	29,9	12,0	12,3	24,3	81.5
4. ადმინისტრ. მშენებლობა . .	2,7	—	2,4	2,4	87,4
სულ	121,2	39,6	27,3	66,9	53,5

როგორც აღნიშნულ ცხრილიდან სჩანს, საბიუჯეტო სახსრების მონაწილეობა კაპიტალურ დაბანდებებში, ცალკე დარგების მიხედვით ცვალებადობს 45,3 %-დან 87,4 %-მდე.

საკუთარი სახსრები, რომელიც ორგანიზაციათა და საწარმოთა მიერ იხარჯება კაპიტალურ მშენებლობაზე, შესდგება უმთავრესად საამორტიზაციო ანარიცხებიდან, მოგებიდან და შინა-რესურსების მობილიზაციიდან.

ჩვენს სინამდვილეში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ორგანიზაციებს დაწესებულ ვადაზე არ შეაქვთ სპეცბანკში საკუთარი სახსრები, არ ახდენენ შინა-რესურსების მობილიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ სპეცბანკებმაც თავის მხრით სათანადო სიმაღლეზე ვერ დააყენეს კონტროლის საქმე.

საამორტიზაციო ანარიცხების მთელი ჯამიდან 50.990 ათ. მან. კაპიტალურ მშენებლობაზე იხარჯება 19.327 ათ. მან., ანუ მთელი საამორტიზაციო ანარიცხების 37,9 %. დანარჩენი თანხები საამორტიზაციო ანარიცხებისა იხარჯება ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისათვის. გარდა ამისა, საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე არასაცხოვრებელი შენობების საიჯარო გადასახადის 95 %-იანი ანარიცხებიდან 1939 წელს დაბანდებულ უნდა იქნას 19.550 ათ. მან. და, ამრიგად, კაპიტალური რემონტის საერთო ჯამი შეადგენს 49.675 ათ. მან.

შინა-რესურსების მობილიზაციამ, სამშენებლო მასალის და მოწყობილობათა მარაგის შემცირებამ, დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციამ მშენებლობაზე 1939 წელში უნდა მოგვცეს 3.345 ათ. მან. საჭიროა სამეურნეო ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით სათანადოდ გაშალონ მუშაობა და მთლიანად შეასრულონ შინა-რესურსების მობილიზაციის ეს გეგმა.

მშენებლობის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მათ შორის ძირითადია — ხელფასის ფონდის გადახარჯვა, ზედნადები ხარჯების ზრდა და ამით მშენებლობის გაძვირება. საჭიროა აგრეთვე მივუთითოთ კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების სუსტ ტემპებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის მიერ კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება ხდება დაუბრკოლებლივ; ნახევარი წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულია 73 %-ით. სამეურნეო ორგანიზაციებისათვის სამარცხვინოა ის მდგომარეობა, რომ 1 ივლისისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოუყენებელი თანხები ირიცხებოდა 13.000 ათ. მანეთამდე.

სამეურნეო ორგანიზაციათა საბრუნავი სახსრების დაფინანსება

შესაბამისად მთავრობის მიერ დამტკიცებული საწარმოო გეგმისა, საქონელბრუნვის გეგმისა და სახალხო მეურნეობის განვითარების სხვა მაჩვენებლებისა, საბრუნავი სახსრების ზრდა 1939 წელში რესპუბლიკური სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებისათვის განსაზღვრულია 78.764 ათ. მან.

საბრუნავი სახსრების შესავსებად ბიუჯეტით ფინანსირება 1939 წლის ცალკე სამეურნეო ორგანიზაციების მიხედვით გათვალისწინებულია 30.274 ათ. მან. რაოდენობით. დანარჩენი თანხების დაფარვა კი გათვალისწინებულია ამ ორგანიზაციების საფინანსო გეგმებით. გასულ წლებში უყაირათო მუშაობის შედეგად ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით დარჩა საბრუნავი სახსრების დაუფარავი გარღვევა 6.800 ათ. მანეთის რაოდენობით.

საბრუნავ სახსრებში მთელ რიგ წამოწყებებს აღმოაჩნდათ გარღვევები დაგროვების გეგმის შეუსრულებლობის, გეგმით გაუთვალისწინებელი ზარალის გადაჭარბების, კაპიტალურ მშენებლობაში საბრუნავი სახსრების იმობილიზაციისა და სადირექტორო ფონდის გადახარჯვის შედეგად.

სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე სათანადო უწყებები ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ საწარმოო წამოწყებათა ფინანსიური მეურნეობის გაჯანსაღების საქმეს.

გაგრძელება

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის და ტრესტის ხელმძღვანელობა არასწორად ანაწილებს საბრუნავ სახსრებს. ამის გამო ზოგიერთი უწყების რამდენიმე წამოწყებას ზედმეტი აქვს საბრუნავი სახსრები, იმ დროს, როდესაც ამავე უწყების წამოწყებები განიცდიან საბრუნავი სახსრების ნაკლებობას.

ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ცალკე წამოწყებებში ხდება საქონლის ნაშთების დაგროვება ნორმატივებზე გადამეტებით.

სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და უწყებებმა ხელი უნდა მოჰკიდონ საფინანსო მეურნეობის გაჯანსაღებისა და მოწესრიგების საქმეს. საჭიროა გავზარდოთ რენტაბელობა, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში და შევამციროთ საბიუჯეტო სახსრების მონაწილეობა საბრუნავ თანხებში. მომგებიან ორგანიზაციებში საბრუნავი თანხების შექმნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ საკუთარი დაგროვებიდან.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 44.648,1 ათ. მან. დაბანდება, აქედან რესპუბლიკური ბიუჯეტით 30.174 ათ. მან. და ადგილობრივი ბიუჯეტით 13.656,2 ათ. მან., სოფლის მეურნეობის ბიუჯეტით დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 20,4 %-ით იზრდება.

მეურნეობის დაფინანსება სწარმოებს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით. სოფლის მეურნეობის რესპუბლიკური დაქვემდებარების წამოწყებათა საფინანსო გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად დანახარჯებს: კაპიტალური დაბანდებანი 3.326,5 ათ. მან., კაპიტალური რემონტი და ლიმიტგარეშე დანახარჯები 5.338 ათ. მან., საოპერაციო ხარჯები 17.652 ათ. მან., საბრუნავი სახსრების გასაძლიერებლად 3.923 ათ. მან., დანარჩენი ხარჯები 2.523 ათ. მან. სულ 33.763 ათ. მან. აქედან ბიუჯეტით დაფინანსება უზრუნველყოფილია 30.193 ათ. მან., ანუ მთელი დანახარჯების 89,4 %.

რესპუბლიკური ბიუჯეტით უზრუნველყოფილია ისეთი ღონისძიებათა დაფინანსება, რომლებსაც აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა: ვეტერინარიასა და ეპიზოოტიაზე გაღებული იქნება 4.700 ათ. მან., მესაქონლეობაზე 1.985 ათ. მან., მემცენარეობაზე 3.458 ათ. მან., წყალთა მეურნეობის საექსპლოატაციო ხარჯებზე (წყალდიდობასთან ბრძოლის დანახარჯების ჩათვლით) 6.341 ათ. მან. ლიმიტგარეშე დანახარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3.348 ათ. მან. და უზრუნველჰყოფს შემდეგ ღონისძიებებს: მიწათმოწყობის სამუშაოებს 1.381 ათ. მან., საქონლის გადასაყვანი გზების და არტეზიული ჭების მოწყობას 1.165 ათ. მან., წყალთა მეურნეობის ღონისძიებებზე 600 ათ. მან. და სხვ.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით სოფლის მეურნეობის დაფინანსება გასულ წელთან შედარებით იზრდება 21,9 %-ით და შეადგენს 13.656 ათ. მანეთს. ცალკე ღონისძიებათა მიხედვით აღნიშნული თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: მემცენარეობაზე — 4.788 ათ. მან., მესაქონლეობაზე — 2.278 ათ. მან., ვეტერინარიასა და ეპიზოოტიაზე — 5.400 ათ. მან., დანარჩენ ღონისძიებებზე 1.190 ათ. მან.

სოფლის მეურნეობის ხაზით ადგილობრივ ბიუჯეტებში დაფინანსების საგრძნობი ზრდა გამოწვეულია აგროქსელის, მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიების, ზოოვეტერინარული პუნქტების, ხორცის საკონტროლო სადგურების და სხვა დაწესებულებათა ქსელის საგრძნობი გადიდებით. გარდა ამისა, საგრძნობლად გაზრდილია ქსელის შესანახი ნორმები, მაგალითად, საექიმო ვეტერინარული უბნის საშუალო წლიური ღირებულება გასულ წელს შეადგენდა 15.500 მან., 1939 წელს კი გათვალისწინებულია 17.780 მან., ხორცის საკონტროლო სადგურის ღირებულება შეადგენდა 11.180 მან., ხოლო 1939 წელს — 12.095 მან. და ა. შ.

ამრიგად, ამხანაგებო, საქართველოს რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მითითებათა განხორციელებას.

1939 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებას, მეცხოველეობის განვითარებისათვის საკვები ბაზის გაფართოებას და მაღალხარისხოვანი გაუმჯობესებული თესლით ნათესების უზრუნველყოფას.

კომუნალური და საბინაო მეურნეობის დაფინანსება

კომუნალური და საბინაო მეურნეობის საფინანსო გეგმა 1939 წლისათვის ითვალისწინებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ახალი მშენებლობისა და არსებულ კომუნალურ წამოწყებათა გაფართოებას, კომუნალური მომსახურების ღირებულების გაიაფებით.

კომუნალური მეურნეობის დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტით ითვალისწინებს 42.573 ათ. მანეთს, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებაზე 6.747 ათ. მან., ლიმიტგარეშე დანახარჯებზე 14.943 ათ. მან., კეთილმოწყობის მიმდინარე ხარჯებზე 14.472 ათ. მან./ საბრუნავი სახსრების გასაძლიერებლად 348 ათ. მან., დანარჩენ დანახარჯებს 3.280 ათ. მან.

კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობა კომუნალურ მეურნეობაზე 1939 წელს დამტკიცებულია 23.820 ათ. მანეთის რაოდენობით. მიმდინარე წელს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებით უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი მსხვილი ობიექტების გადაცემა ექსპლოატაციაში: წყალსადენის ახალი აუზისა ქალ. თბილისში — 27.150 კუბ. მეტრი წყლის ტევადობით; წყალსადენებისა — ქალ. ცხაკაიაში, ზესტაფონში, მახარაძეში, სტალინირში, ბორჩალოში, ამბროლაურში და სხვ.; ქალ. თბილისში სამრეცხაო კომბინატი; აბანოები ქალ. წულუკიძეში, ბოგდანოვკაში, წალენჯიხაში, ასპინძაში და სხვ., ელექტროსადგურები თბილისში, ბორჩალოში, ჩხარში ადიგენში და სხვ.

კაპიტალური დაბანდებანი უზრუნველჰყოფენ აგრეთვე ტრამვაის და ტროლეიბუსის მეურნეობის გაფართოებას, ავტობუსთა პარკის გადიდებას, გზების და ტროტუარების ასფალტირებას და სხვ.

ლიმიტგარეშე დანახარჯები — 14.942 ათ. მანეთის რაოდენობით გამოყენებულ უნდა იქნას ქუჩებისა და ტროტუარების მოსაკირწყლავად, კაპიტალურ რემონტზე, გამწვანებაზე, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დაგეგმვაზე და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე.

საგრძნობი თანხაა გადადებული კეთილმოწყობის მიმდინარე საოპერაციო ხარჯებზე. ამ საქმეზე გათვალისწინებულია 14.472 ათ. მან.

საბინაო მეურნეობაზე გათვალისწინებულია 28.602 ათ. მან., აქედან კაპიტალურ დაბანდებაზე 5.795 ათ. მან., საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე 17.402 ათ. მან.

რაიონული მრეწველობის დაფინანსება

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ადგილობრივი რაიონული მრეწველობა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად განვითარდა.

საერთო პროდუქციის გამოშვების 1939 წ. გეგმა 1926/27 წლების უცვლელ ფასებში რაიონული მრეწველობის ხაზით გამოიხატება 26.884 ათ. მანეთში, ნაცვლად 24,7 მილ. მანეთისა 1938 წელს.

საგრძნობლად გაიზარდა ადგილობრივი მრეწველობის სახსრები, მაგალითად, 1939 წლის ფინგეგმით გათვალისწინებულია 9,5 მილ. მანეთის დაგროვება, ნაცვლად 1938 წლის 6.900 ათ. მანეთისა, ე. ი. დაგროვების გეგმა იზრდება 37,5 %-ით, რაც მოწმობს ადგილობრივი რაიონული მრეწველობის ფინანსიური ძლიერების განმტკიცებას.

1939 წელს გათვალისწინებულია ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსება ბიუჯეტიდან 8,5 მილ. მანეთით. ეს სახსრები მთლიანად მიმართულია ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისაკენ.

1939 წელს რაიონული მრეწველობის გაფართოებისათვის გათვალისწინებულია 7.300 ათ. მანეთი, ნაცვლად 1938 წელს გათვალისწინებული 4.200 ათ. მანეთისა.

ადგილობრივი მრეწველობის გაფართოებისათვის საგრძნობი თანხებია გათვალისწინებული. ასე მაგალითად, ზესტაფონის რაიონში დაიხარჯება 1.379 ათ. მანეთი, მახარაძის რაიონში 530 ათ. მანეთი, გორის რაიონში 450 ათ. მან., ქალ. ქუთაისში 840 ათ. მანეთი და ა. შ. ტყვრის კრამიტის ქარხნის მშენებლობაზე 419 ათ. მანეთი, ძირულის კერამიკული თიხის მილების ქარხნის გაფართოებაზე 250.000 მანეთი, გორის ღვინის და კონიაკის კომბინატის გაფართოებაზე 295 ათ. მანეთი, საკონდიტრო ფაბრიკის გაფართოებაზე გორში 62 ათ. მანეთი, ქალ. ქუთაისში მარმარილოს წარმოებაზე 148 ათ. მანეთი, სატრიკოტაჟო ქარხანაზე 140 ათ. მანეთი, შუშის ქარხანაზე 114 ათ. მანეთი და სხვ.

ადგილობრივმა ორგანოებმა, — რაიონულმა აღმასკომებმა და ქალაქის საბჭოებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონული მრეწველობის განვითარებას. ძირითად ამოცანად დასახულ უნდა იქნას ყველა ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოვლინება, მოწესრიგებულ იქნას მისი ადგილზე გადამუშავება, რათა ამით ხელი შეეწყოს პროდუქტებისა და სხვა საქონლის მასის გადიდებას ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვაში.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! სტალინურმა კონსტიტუციამ, საკანონმდებლო წესით მიანიჭა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უფასო განათლების მიღების უფლება უმაღლესი განათლების ჩათვლით. არსად, არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არის და არ შეიძლება იყოს ისეთი სწრაფი კულტურული აღმავლობა, როგორც ეს არის ჩვენში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა კულტურული მშენებლობა სტალინური ხუთწლედების მანძილზე; დიდად გაიზარდა საშუალო და უმაღლესი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი, შექმნილია საბავშვო ბაღების, ბაგების, ბავშვთა კონსულტაციების ფართო ქსელი. გახსნილია მრავალი დაწესებულება ჯანმრთელობის დაცვის დარგში: საავადმყოფოები, ამბულატორიები, სამშობიარო სახლები, სანატორიუმები და სხვ.

გახსნილია მრავალი ახალი თეატრი, კლუბი, კინოდანადგარი და სხვ.

უდიდესი მიღწევები გვაქვს ინტელიგენციის ახალი კადრების შექმნის საქმეში.

ამხანაგ სტალინის და მოლოტოვის მოხსენებებში ჩვენი პარტიის XVIII ყრილობაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი კულტურული მშენებლობის საკითხებს.

XVIII ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად მესამე სტალინური ხუთწლედი ითვალისწინებს კულტურული მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას.

XVIII ყრილობის დადგენილებაში ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო ნათქვამია: „ახლა ამოცანა მდგომარეობს მშრომელთა ისეთი კეთილდღეობისა და კულტურულობის ამაღლების შექმნაში, რომელიც შეეფარდება საბჭოთა ხალხის გაზრდილ მოთხოვნილებებს, რაც მიუღწეველია კაპიტალიზმის ყველაზე მდიდარი ქვეყნებისათვის და რომელიც მოასწავებს სოციალიზმის ძალთა ნამდვილ აყვავებას, ახალი სოციალისტური კულტურის აყვავების დასაწყისს“. ასეთი დიდი გაქანება სოციალისტური კულტურის მშენებლობაში ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსაგან კოლოსალურ დაბანდებას მოითხოვს. 1939 წლის ბიუჯეტი სრულიად უზრუნველჰყოფს კულტურული მშენებლობის ამ დიად პროგრამას.

სოცკულტურულ ღონისძიებებზე საქართველოს სს რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 813.480 ათ. მან., და იზრდება გასულ წელთან შედარებით 14.7%-ით. აღნიშნული თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის 309.429 ათ. მან. და ადგილობრივ ბიუჯეტზე 504.051 ათ. მან. კულტურულ ღონისძიებათა დარგში ძირითადი ადგილი უჭირავს განათლებას და ჯანმრთელობას. განათლებაზე დახარჯული იქნება 545.913 ათ. მან., ჯანმრთელობაზე 197.811 ათ. მან., ფიზკულტურაზე 6.584 ათ. მან. და სოციალურ უზრუნველყოფაზე 63.172 ათ. მან.

საქართველოს სსრ ბიუჯეტით განათლების ხარჯები, გარდა კაპიტალური დაბანდებებისა, ნაწილდება შემდეგნაირად:

(მილიონ მანეთებში)

	ფაქტიურ. 1938 წ.	1939 წ.	მათ შორის		ზრდის %
			რესპუბლ. ბიუჯეტი	ადგილ. ბიუჯეტი	
1. საერთო განათლება და ბავშვთა აღზრდა	232.844	269.213	9.973	259.240	15,6
2. პოლიტ.-აღმზრდელობითი მუშაობა	25.863	31.219	1.621	29.598	16.2
3. ხელოვნება	24.759	24.535	13.268	11.267	— 0,9
4. ბეჭდვითი სიტყვა	8.008	9.388	3.165	6.223	17,2
5. კადრების მომზადება	141.352	167.951	137.648	30.303	18,8
6. მეცნიერება	24.354	35.974	32.222	3.752	47,8
7. რადიოგადაცემა	2.509	—	—	—	—
სულ	460.689	538.280	197.897	340.383	16,8

რესპუბლიკური ბიუჯეტის განათლების კარში უმთავრესი ადგილი უჭირავს ხარჯებს კადრების მომზადებაზე. ეს აიხსნება სტუდენტთა რაოდენობის ზრდით უმაღლეს სასწავლებლებში (14.401 კაციდან 15.052 კაცამდე), ტექნიკუმებში (16.746-დან 19.164 კაცამდე). მიმდინარე წელს გაიხსნა სამი ახალი სამასწავლებლო ინსტიტუტი (ზუგდიდში, თელავში, თბილისში). გარდა ამისა, გასულ წელთან შედარებით 60 %-დან 70%-მდე გაიზარდა სტიპენდიატთა რაოდენობა. უმაღლესი სასწავლებლების შესანახი ხარჯები განსაზღვრულია 68.810 ათ. მანეთი, აქედან განათლების სახ. კომისარიატის ხაზით—32.681 ათ. მან., მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისა—13.387 ათ. მან., ხელოვნების საქმეთა სამმართველოსი — 3.732 ათ. მან., ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა — 16.108 ათ. მან. და ფიზკულტურის კომიტეტის ხაზით 2.895 ათ. მან.

ადგილობრივ ბიუჯეტებში განათლების ხაზით დანახარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია მოსწავლეთა კონტინგენტის, სკოლების, ტექნიკუმების და საბავშვო ბაღების ქსელის ზრდით. ხარჯები დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1939 წლისათვის მიღებულია 198.132 ათ. მანეთის რაოდენობით.

მოსწავლეთა რიცხვი დაწყებით და საშუალო სკოლებში, გასულ წელთან შედარებით, იზრდება 66.090 ბავშვით.

მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძნობლად იზრდება უფროს კლასებში; პირველ ოთხ კლასში მოსწავლეთა რიცხვი იზრდება 15.365 ბავშვით, მეხუთე—მეშვიდე კლასებში 35.325 ბავშვით და მერვე-მეათე კლასებში—16.490 მოსწავლით.

ამრიგად, პირველ-მეოთხე კლასის მოსწავლეთა რიცხვი იზრდება 3.5%-ით, მეხუთე-მეშვიდე კლასში 18.1%-ით და მერვე-მეათე კლასში 33,5%-ით.

უფროს კლასებში მოსწავლეთა რიცხვის ასეთი ზრდა სავსებით გასაგებია. საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლების გატარება ოთხწლედის ფარგლებში უკვე დამთავრებულია.

დაწყებით და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ასეთი ზრდის გამო, მთელი სიმწვავით ისმება სასკოლო მშენებლობის გაფართოების საკითხი. 1938 წელთან შედარებით სასკოლო მშენებლობის საქმეში განსაზღვრული წარმატებანი გვაქვს. სასკოლო მშენებლობაზე 1939 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 15.966 ათ. მან., რაც უზრუნველჰყოფს ასი სკოლის მშენებლობის დამთავრებას 17.646 მოწაფის ტევადობით.

საერთო განათლებისა და ბავშვთა აღზრდის ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიუჯეტში საბავშვო ბაღების ხარჯებს. დანახარჯები საბავშვო ბაღებზე 1939 წელს გათვალისწინებულია 19.181 ათ. მან. რაოდენობით, რაც გვაძლევს ზრდას გასულ წელთან შედარებით 20,3%-ით. გარდა აღნიშნული თანხისა, საბავშვო ბაღებს აქვთ თავიანთი შემოსავალი დაახლოებით 7.200 ათ. მან. მშრომელთა სახსრების მონაწილეობის სახით. ყველა ეს სახსრები უზრუნველჰყოფენ მიმდინარე წელს საბავშვო ბაღებში 24.053 ბავშვის შენახვის ხარჯებს.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კოოპერაციას და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს აქვთ თავიანთი საბავშვო ბაღები.

მნიშვნელოვნად იზრდება ხარჯები მოზრდილთა შორის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და საერთო-საგანმანათლებლო მუშაობაზე. დანახარჯები ამ ხაზით 1939 წელს გათვალისწინებულია 29.579 ათ. მან. რაოდენობით, ნაცვლად 25.660 ათ. მანეთისა 1938 წელს (ზრდა 15,3%).

მაღალი ტიპის საერთო საგანმანათლებლო სკოლებში მოწაფეთა რიცხვი იზრდება 24.425 მოწაფიდან 32.046 მოწაფემდე და ხარჯები 43.8%-ით.

ხარჯები მასობრივ ბიბლიოთეკებზე 1939 წელს გათვალისწინებულია 3.515 ათ. მან. რაოდენობით,

(გაგრძელება იხ. მე-4-ე გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. ჩადუნელი, ი. [illegible], ჟ. შერიძე და მამედ ფალავა ტარდებიან რეგისტრაციაში.

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

ამხ. ქ. ციმაკურიძის მოხსენების დასასრული

რაც გვაძლევს ზრდას გასულ წელთან შედარებით 31%-ით.

ხარჯები ქოხ-სამკითხველოებზე იზრდება 1.802 ათასი მანეთიდან 2.736 ათ. მანეთამდე 1939 წელს, ანუ 52.9%-ით. მიმდინარე წელს ქოხ-სამკითხველოების კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია სპეციალური თანხა—ათასი მანეთი თვითეულ ქოხ-სამკითხველოზე.

ხარჯები კადრების მომზადებაზე ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიხატება 30.302 ათ. მანეთით, რაც უზრუნველჰყოფს შემდეგი კონტინგენტის სწავლებას: განათლების სახ. კომისარიატის სპეცსასწავლებლებში 9.756 მოსწავლისას, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ უმაღლეს სასწავლებლებში (სამხრეთ-ოსეთი, აჭარა, აფხაზეთი) 1.825 მოსწავლისას, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში 3.810 მოსწავლისას და სხვ.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხაზით 1939 წელს გათვალისწინებულია რესპუბლიკური ბიუჯეტით 13.267 ათ. მან., ადგილობრივი ბიუჯეტით 13.767 ათ. მან., სულ 27.034 ათ. მან.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხაზით გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა, როგორიც არის ქუთაისის თეატრი 1,5 მილ. მან. ღირებულებით და ბათუმის თეატრის მშენებლობა 1 მილიონ მანეთის დაფინანსებით.

1939 წლის ბიუჯეტში საგრძნობი თანხებია გათვალისწინებული ხელფასის გასადიდებლად მუშაკთა სხვადასხვა კატეგორიისათვის, მაგალითად, სკოლის ინსპექტორებზე და საბავშვო ბაღის მუშაკებზე, საშუალო და დაბალ სამედიცინო პერსონალზე და სხვ.

ჯანმრთელობის ხარჯები, გასულ წელთან შედარებით, 1939 წელს იზრდება (კაპიტალური მშენებლობის გამოკლებით) რესპუბლიკური ბიუჯეტით 8.700 ათ. მანეთის და ადგილობრივი ბიუჯეტით 27.127 ათ. მანეთის რაოდენობით. ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნობათა მატება უმთავრესად გამოწვეულია სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის განვითარებით და საშუალო და დაბალ სამედიცინო პერსონალის ხელფასის გადიდებით.

საშუალო—წლიური ქსელი ჯანმრთელობის ხაზით 1939 წელს იზრდება შემდეგი რაოდენობით: ქალაქის საექიმო ამბულატორიები 79-ით, სოფლის საექიმო ამბულატორიები 99-ით, საბებიო-საფერშლო პუნქტები 124-ით, საწოლების რაოდენობა საავადმყოფოებში 691-ით, კლინიკურ საავადმყოფოებში 163-ით და ა. შ.

სოცუზრუნველყოფის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 63.182 ათ. მან. გასულ წელთან შედარებით ზრდა უდრის დაახლოებით 25%-ს. ამ ასიგნობებით უზრუნველყოფილია დაახლოებით 58.500 შრომის ინვალიდისა, პერსონალური პენსიონერებისა, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის ინვალიდ-პენსიონერებისათვის პენსიების მიცემა.

IV. საქართველოს სსრ 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტები

ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო მოცულობა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიღებულია 666.205 ათ. მან. რაოდენობით, ე. ი. 9.5%-ით მეტი გასულ წელთან შედარებით. ადგილობრივ ბიუჯეტებში შედის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის და საქართველოს ყველა რაიონისა და ქალაქების ბიუჯეტები.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სესიის მასალებიდან გაეცნობოდნენ ცალკე რაიონების ბიუჯეტებს და ამისათვის საჭირო არ არის დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ბიუჯეტებზე.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპების მტკიცე და განუხრელმა გატარებამ სწრაფად განავითარა და ააყვავა მეფის დროს ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ჩვენი მცირე ეროვნებათა ავტონომიური რესპუბლიკები — აფხაზეთი და აჭარა—და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ამ რესპუბლიკების და ოლქის სწრაფი ზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი ბიუჯეტების ზრდა, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

	1933 წ.	1938 წ.	1939 წ.	ზრდა პროცენტებში	
				1938 წ. შედარებ. 1939 წ.	1939 წ. შედარებ. 1933 წ.
1. აფხაზ. ავტ. სსრ . . .	25.345	73.512	77.512	190 %	206,5 %
2. აჭარის	16.577	45.455	54.202	172,5	225,0
3. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	5.465	27.245	30.603	398,5	459,0

ბიუჯეტის ზრდის ეს მაჩვენებლები მოწმობს, თუ რა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მეორე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ავტონომიურ რესპუბლიკათა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და კულტურის ამაღლება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც სჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

	1933 წ.	1939 წ.	ზრდის %-ტი
აფხაზეთში	12.114	58.971	386
აჭარაში	8,157	40.275	392,5
სამხრეთ-ოსეთში	2.825	24.465	766,5

კულტურის იმ კოლოსალურ ზრდაზე, რომელსაც ადგილი აქვს აფხაზეთის და აჭარის ავტ. სს რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში, ნათლად მოწმობს ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ოდენობა.

თუ მეორე ხუთწლედის პირველ წელს აფხაზეთისა და აჭარის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ბიუჯეტებიდან დაიხარჯა სულ 47.487 ათ. მან., 1939 წელს იხარჯება 162.317 ათ. მან.

გასული ორი ხუთწლედის განმავლობაში ამ რესპუბლიკების და ოლქის ადგილობრივმა ბიუჯეტმა სოცკულტურას შეუქმნა მტკიცე მატერიალური ბაზა და უზრუნველჰყო სწრაფი წინსვლა კულტურული აღმავლობისაკენ. გატარებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლა ქალაქებში და რაიონებში შვიდწლედის მასშტაბით, შექმნილია ადგილობრივი კადრები მეურნეობის ყველა დარგისათვის, თითქმის მოსპობილია წერა-კითხვის უცოდინარობა, გაშლილია დიდი ქსელი ქოხ-სამკითხველოებისა, ბიბლიოთეკებისა, კლუბებისა, წითელი კუთხეებისა და სხვ.

დღეს აფხაზეთის საყოველთაო სწავლების სკოლებში ჩაბმულია 68.521 ბავშვი, აჭარაში 35.088 და სამხრეთ-ოსეთში 31.809 ბავშვი.

აღნიშნულ რესპუბლიკებს რევოლუციამდე ჰქონდათ ორ-ორი საშუალო სასწავლებელი. დღეს აქვთ: აფხაზეთს 1 უმაღლესი სასწავლებელი, რამდენიმე ათეული საშუალო სასწავლებელი 952 კლასით; აჭარას—1 უმაღლესი სასწავლებელი, 85 საშუალო სკოლა 391 კლასით, სამხრეთ-ოსეთს კი, სადაც არცერთი საშუალო სკოლა არ იყო, აქვს 78 საშუალო სკოლა 317 კლასით და 1 უმაღლესი სასწავლებელი.

ასეთი მაჩვენებლები ახასიათებს უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ თვითეული რაიონის ბიუჯეტს.

1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა და ოდენობა ადიდებს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონული და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას სახსრების კანონიერი, ეკონომიური და მიზანშეწონილი ხარჯვისათვის.

ბიუჯეტის შესრულების შედეგები, აგრეთვე ფინსახკომის მიერ ჩატარებული რევიზიები ადგილობრივი რაიონული ბიუჯეტებისა გვიჩვენებენ მთელ რიგ დარღვევებს ადგილობრივ ორგანოების მიერ. მთელ რიგ რაიონებში სოცკულტურული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯზე ხდება სახსრების გამოყენება სხვა დანიშნულებით, მმართველობის ხარჯების გადიდება და სხვ. მაგალითად, ფოთის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე გაწეულია ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები განათლების განყოფილების კრედიტებიდან: სასულე ორკესტრის შენახვაზე 52 ათ. მან., თვითმოქმედი წრეების შენახვაზე—80,5 ათ. მან., ციტრუსების მოვლაზე—24 ათ. მან., ბავშვთა თეატრზე—44 ათ. მან. და სხვ. სულ გაწეულია არაკანონიერი ხარჯები დაახლოებით 200 ათ. მან. რაოდენობით.

უგეგმო მუშაობის გამო რაიონში დაშვებულია გადახარჯვები: ხელფასზე განათლების დარგში—184,8 ათ. მან., დანარჩენ ხარჯებში — 170,9 ათ. მან., მშენებლობაზე — 144 ათ. მან.

ბოგდანოვკის რაიონში რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად დაწესებულია ზედმეტი საშტატო ერთეულები, უკანონო შეთავსებები და თვითნებურად ხელფასის განაკვეთების გადიდება, რის შედეგად ადგილი აქვს რაიონის აღმასკომის განყოფილებებში ხელფასის ფონდის გადახარჯვას 105,7 ათ. მან. რაოდენობით, სამივლინებო და საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯებში—43,3 ათ. მან.

ზოგიერთი მშენებლობა უხარჯთაღრიცხვოდ სწარმოებდა, ნორმები დაცული არ იყო, გაწეულია უყაირათო ხარჯები, რამაც გააძვირა რაიონის მშენებლობის ღირებულება 235 ათ მანეთით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონში დანაშაულებრივი დაუდევრობით ეპყრობიან მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის ხელფასით დროულად დაკმაყოფილებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელს ან ექიმს და ფერშალს ხელფასი ეძლევა ორი კვირის და ერთი თვის დაგვიანებით.

ამას მოწმობს რაიონებიდან მიღებული ცნობები. გურჯაანის რაიონს პირველ თებერვალს მასწავლებლების ხელფასის დავალიანება ჰქონდა 245 ათ. მან., ე. ი. თვიური ხელფასის ფონდის რაოდენობით 1-ლ მარტს 204 ათ. მან., 1-ლ ივნისს — 51 ათ. მან., ზუგდიდის 1-ლ თებერვლისათვის—295 ათ. მან.—თვიური ხელფასის ფონდი 1-ლ მარტს—259 ათ. მან.

ასეთივე მდგომარეობაა სამედიცინო პერსონალის ხელფასის გაცემის საქმეში.

ეს ფაქტები არ ამოსწურავს ყველა იმ დარღვევას, რომელსაც ადგილი აქვს მთელ რიგ სხვა რაიონებში.

საფინანსო და საბიუჯეტო დისციპლინის ყველა ეს დარღვევა რაიონებში შედეგია ჩვენი საფინანსო ორგანოების სუსტი და არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა.

უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებულ კანონში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ნათქვამია:

„აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობას —კონტროლი გაუწიონ იმ სახელმწიფო სახსრების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვას, რაც ეძლევა სახალხო კომისარიატებს და სხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს.

დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა სახალხო კომისარიატების და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობისათვის კონტროლის გასაწევად, არ დაუშვან საფინანსო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევა და სახელმწიფოს მიერ გაღებული სახსრების უყაირათოდ გამოყენება“.

ეს კანონი ავალებს ჩვენს საფინანსო ორგანოებს სავსებით გარდაქმნან თავისი მუშაობა და გადაჭრით გააუმჯობესონ საფინანსო საქმიანობისათვის კონტროლის გაწევა.

ეს კანონი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო კომისარიატების და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფო სახსრების კანონიერი, ეკონომიური და მიზანშეწონილი ხარჯვისათვის.

ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი, რომელსაც მთავრობა გიდგენთ დასამტკიცებლად, გამოხატავს იმ ახალ გამარჯვებას, რომელიც მოპოვებული იქნება მესამე ხუთწლედის მეორე წელს, საბჭოთა კავშირის ძმური რესპუბლიკათა ერთიან ოჯახში, ქართველი ხალხის მიერ სახალხო მეურნეობის, კულტურის განვითარების და მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

ბრძოლა ჩვენი ბიუჯეტის შესრულებისათვის, ყველა შემოსავლის მთლიანად და თავის დროზე აკრეფისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაუბრკოლებლივ დაფინანსებისათვის და ამავე დროს კანონიერად დახარჯვისათვის — უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა.

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას ბოლშევიკების დამახასიათებელი სიმტკიცით და ენტუზიაზმით უნდა მოჰკიდონ ხელი საბჭოთა კავშირის უფართოესმა მასებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგებში.

1939 წლის ბიუჯეტის შესრულება საქართველოს საფინანსო ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან პრაქტიკულად განახორციელონ სახელმწიფოს შემოსავლების აკრეფა და სოციალისტური მეურნეობის შეუფერხებელი დაფინანსება,—განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ბიუჯეტის შესრულებით ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის ძლიერებას, და კარგი დღე არ დაადგება სხვისი ტერიტორიის წაგლეჯის მოყვარულებს, რომლებიც კი შეეცდებიან შეეხონ საბჭოთა კავშირის წმინდათა-წმინდა საზღვრებს.

საქართველოს სსრ 1939 წლის ბიუჯეტი უნდა შესრულდეს და შესრულდება კიდეც. ამის თავდებია ჩვენი ქართველი ხალხის ერთსულოვნება და უსაზღვრო ნდობა იმ ღონისძიებებისადმი, რომლებიც ტარდება ბრძენი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიისა და მისი წინამძღოლის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით კომუნიზმის განხორციელებისათვის 1939 წელს დასახული პროგრამა და ბიუჯეტი შესრულებული იქნება.

გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, დიდ **სტალინს!** **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

რიძ-სმიგლის ინტერვიუ

პარიზი, 20 ივლისი (საკდესი). გაზეთმა „პტი პარიზიენმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც ჰქონდა პოლონეთის მარშალ რიძ-სმიგლისთან ერთ ამერიკელ ჟურნალისტ ქალს. ამ ინტერვიუში რიძ-სმიგლიმ განაცხადა:

„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ადამიანს შეუძლია, რომ დანციგის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდეს. მაგრამ, თუ გერმანია ხელს არ აიღებს მისწრაფებაზე ანშლიუსისაკენ პოლონეთის მიმართ, მაშინ პოლონეთი იმ შემთხვევაშიაც კი იბრძოლებს, თუნდაც იძულებული გახდეს მარტო, უმოკავშიროდ იბრძოლოს. ამ აზრისაა პოლონეთის მთელი ხალხი.

დანციგი აუცილებელია პოლონეთისათვის. ვის კონტროლქვეშაც არის დანციგი, მისივე კონტროლქვეშ არის მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრება. ჩვენი ვაჭრობა საზღვარგარეთთან დანციგისა და გდინიის საშუალებით სწარმოებს. ვინც დანციგს უწევს კონტროლს, ის გდინიასაც უწევს კონტროლს. ჩვენ პატარა გასავალი გვაქვს ზღვისაკენ. შარშან ამ ორი ნავსადგურით გატანილ იქნა 16 მილიონი ტონა ისეთი ტვირთი, რომელიც ჩვენი ვაჭრობის საგანს შეადგენს. გერმანელების მიერ დანციგის დაპყრობა ისეთი აქტი იქნებოდა, რომელიც პოლონეთის დანაწილებას მოგვაგონებდა. აი სწორედ ამ მიზეზის გამო განვახორციელე მობილიზაცია 4 თვის წინათ, როცა ჰიტლერმა განაახლა თავისი მოთხოვნები დანციგისა და კორიდორის მიმართ“.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის საკითხის შესახებ რიძ-სმიგლიმ ჟურნალისტ ქალს განუცხადა:

„დიახ, ჩვენ გვაქვს თავდაუსხმელობის პაქტი და ეკონომიური ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან. მაგრამ საბჭოთა კავშირის მიერ ნედლეულის მოწოდება, ალბათ, მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირი ახლანდელი სიტუაციიდან რაც შეიძლება მეტ სარგებლობას გამოიტანს“.

პოლონეთის დანციგელ ხელისუფალთა პროტესტი

ვარშავა, 20 ივლისი (საკდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო დანციგიდან (პატ) იუწყება, პოლონეთის დანციგელმა გენერალურმა კომისარმა ორი პროტესტი გადასცა „თავისუფალი ქალაქის“ სენატს: დანციგის ხელისუფლების მიერ პოლონეთის საბაჟო ინსპექტორების უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ და პოლონეთის მუშათა დაუსაბუთებელი დათხოვნის წინააღმდეგ.

როგორც დეპეშათა სააგენტო „ექსპრესი“ იუწყება, დანციგის პოლიტიკური პოლიცია დიდძალ ხალხს აპატიმრებს. ამ დღეებში დააპატიმრეს „ღალატისათვის“ 20 გერმანელი.

რუზველტისა და ჰელის თათბირი სენატის რესპუბლიკელთა და დემოკრატთა ლიდერებთან

ვაშინგტონი, 19 ივლისი (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში (რუზველტის რეზიდენცია) შესდგა რუზველტისა და ჰელის თათბირი სენატის რესპუბლიკელთა და დემოკრატთა ლიდერებთან; თათბირის საგანი იყო ნეიტრალიტეტის კანონი.

როგორც იუწყებიან, ამ თათბირზე მწვავე პოლემიკა გაიმართა რუზველტსა და სენატის იზოლაციონისტების ლიდერ ბორას შორის.

ამტკიცებენ, რომ რუზველტი და ჰელი თავიანთ სიტყვაში მიუთითებდნენ ომის უდიდესი საფრთხის არსებობაზე და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ევროპის კრიზისი მოითხოვს ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვას, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლოთ გავლენა მოახდინონ ევროპაში მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ რესპუბლიკელებმა სენატორ ბორას მეთაურობით არ დასთმეს თავიანთი პოზიციები. დემოკრატი სენატორები აღნიშნავდნენ, შეუძლებელია სენატში ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის დროს უმეტესობის მიღებაო.

ნაშუაღამევს თეთრმა სახლმა ორი განცხადება გამოაქვეყნა სენატის რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ლიდერებთან რუზველტისა და ჰელის თათბირის შედეგების შესახებ. პირველ განცხადებაში ნათქვამია: „პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი იცავენ თავიანთ აზრს: სენატის მიერ უარის თქმა იმაზე, რომ გადასინჯოს ნეიტრალიტეტის კანონი, ამჟამად შეასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ როლს ხალხთა შორის მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის გავლენის განხორციელების მხრივ იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში ახალი კრიზისი მოხდა კონგრესის ახლანდელი სესიიდან მორიგ სესიამდე“.

მეორე განცხადებაში გადმოცემულია სენატის დემოკრატების ლიდერის ბერკლის თვალსაზრისი. ამ განცხადებაში ნათქვამია შემდეგი: „სენატორთა საერთო აზრით, კონგრესის ახლანდელ სესიაზე შეუძლებელია ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვა. ასეთივე აზრი გამოსთქვა სენატის რესპუბლიკელთა ლიდერმა მაკნერიმ. მან განაცხადა, რომ სენატორთა უმეტესობა თანახმა იქნება კონგრესის შემდეგს სესიაზე გადასინჯოს ნეიტრალიტეტის კანონი“.

კონგრესის შემდეგი სესია 1940 წლის იანვარში შესდგება.

იაპონელთა მხეცობა კანტონში

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 18 ივლისს იაპონელებმა კანტონში მოაწყეს მასობრივი სიკვდილით დასჯა ჩინელებისა, რომელთაც პარტიზანული მოქმედება ბრალდებოდათ. იაპონელებმა 180 ჩინელი გაამწკრივეს, ხელები შეუკრეს უკან და ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს. სიკვდილით დასჯის წინ ტყვეები საბარგო ავტომობილებით ჩაატარეს კანტონის ქუჩებზე პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა, რომ ამ პირთ სიკვდილით დასჯიან.

ჩხრეკა და დაპატიმრება შანხაიში

შანხაი, 20 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ძინბაო“ იუწყება, იაპონელმა ჟანდარმებმა საფრანგეთის პოლიციასთან ერთად გუშინ ჩხრეკა მოახდინეს საფრანგეთის კონცესიაზე. დაპატიმრებულია სამი ჩინელი.

დღის შანხაის დასავლეთ ნაწილში იაპონელი ჟანდარმები განაგრძობდნენ ჩხრეკასა და დაპატიმრებას. 8 ჩინელი მუშა დაპატიმრებულია იმისათვის, რომ მათ ვითომდა კავშირი ჰქონდათ ჩინელ პარტიზანებთან, რომლებიც შანხაის მიდამოებში მოქმედებენ.

იაპონელები ინგლისის საწინააღმდეგო კამპანიას ეწევიან „ოკუპირებულ“ რაიონებში

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის „ოკუპირებულ“ რაიონებში იაპონელები განაგრძობენ ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. იაპონელები იმუქრებიან, რომ ახალ ღონისძიებებს მიმართავენ ინგლისის კონცესიის წინააღმდეგ ტიანძინში, თუ ინგლისის მთავრობა იაპონელთა ყველა მოთხოვნას არ მიიღებს.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს: იაპონელები მათ მიერ დაპყრობილ ყველა რაიონში იმუქრებიან, რომ ბოიკოტს გამოუცხადებენ ინგლისის საქონელს.

მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

○ კუნძულ პორტორიკოზე დიდი წარმატებით აჩვენებენ საბჭოთა ანტიფაშისტურ ფილმს „პროფესორ მამლოკს“. როგორც იუწყებიან, გერმანიის კონსულმა პორტორიკოს გუბერნატორს მიმართა თხოვნით აკრძალოს ამ ფილმის ჩვენება, მაგრამ კონსულმა ამაზე უარი მიიღო.

○ ინგლისის პრესა იუწყება, რომ დაიღუპა თვითმფრინავი „მფრინავი ფრთა“, რომელიც, ექსპერტების აზრით, ყველაზე უფრო უსაფრთხო თვითმფრინავი იყო. თვითმფრინავი ათი წლის კვლევა-ძიების შედეგად აგეს. კატასტროფა მოხდა ოქსფორდის მახლობლად.

⊙ 19 ივლისს თემთა პალატაში ლეიბორისტმა სტივარტმა პეტიცია შეიტანა ერთნახევარი მილიონი კაცის ხელმოწერით. ეს პეტიცია მოითხოვს მოხუცებულთათვის პენსიის გადიდებას. ამავე დღეს ლონდონის ჰაიდ-პარკში დიდი დემონსტრაცია გაიმართა პეტიციის დასაცავად.

⊙ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო ესპანეთიდან რომს დაბრუნდა.

ვ. გოლცევი ს. ჩიქოვანის პოეზიის შესახებ

მოსკოვი, 20 ივლისი. „ლიტერატურნაია გაზეტა“ დღეს ათავსებს ვიქტორ გოლცევის სტატიას, მიძღვნილს სიმონ ჩიქოვანის პოეზიისადმი. სტატიის ავტორი იძლევა პოეტის შემოქმედების დახასიათებას, დაწყებული მისი პირველი ნაბიჯებიდან. იგი აღნიშნავს, რომ „სიმონ ჩიქოვანი ახლა შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია. მისი რჩეული ლექსების წიგნი, რომელიც 1935 წელს რუსულ ენაზე გამოიცა, მეტად დადებითად იქნა შეფასებული. მას შემდეგ ჩიქოვანმა შექმნა მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები, რომლებიც მოწმობენ მის შემდგომ ზრდას... უეჭველია, რომ სიმონ ჩიქოვანის პოეზიამ შეიძინა რეალისტური ძალა, სასიცოცხლო სიმართლე და მომწიფებული გამომეტყველება. ჩიქოვანის ლექსებში ჩვენ უკვე აღარ ვხვდებით ღვლარჭნილ სიტყვიერ სამკაულებს. იგი ახლა გაცილებით უფრო მკაფიოდ, მარტივად და გულთბილად სწერს. ამაშია მის ახალ შემოქმედებით მიღწევათა საწინდარი“.

ვაჟა ფშაველას ნაწარმოებნი რუსულ ენაზე

უახლოეს დღეებში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე უშვებს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს. კრებულში შევიდა ლექსები, პოემები და მოთხრობები. თარგმანი ეკუთვნის ს. სპასკის („ფშაველის სიმღერა“, „ფშაველის სიყვარული“, „ხმლის ჩივილი“, „ხმა სამარიდან“, „დავით გურამიშვილს“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“), ს. გოროდეცკის („სიყვარული“, „მოლოდინი“, „ამაო ომი“, „მთებს“), ვ. დერჟავინის („ხმლის ჩივილი“, „იმედი საზიკაული“, „გმირის სიკვდილი“), ბ. ბრიკის („უნუგეშო ყოფნა“, „დაუსრულებელი კვნესა“). პოემები: „დაჭრილი ვეფხი“ სთარგმნა ბ. სერებრიაკოვმა, „სტუმარ-მასპინძლობა“, „გველისმჭამელი“, და „ალუდა ქეთელაური“ — ს. სპასკიმ, ბ. პასტერნაკმა და რ. ივნევმა. კრებულში შევიდა 15 მოთხრობა („შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „ბათურის ხმალი“, „ბუნების მგოსნები“ და სხვ.), რომლებიც რუსულ ენაზე სთარგმნეს ზ. ემუხვარმა და ლ. ნატროშვილმა.

ვაჟა ფშაველას რჩეულ ნაწარმოებთა წინასიტყვაობა ეკუთვნის გერონტი ქიქოძეს. კრებული გამოდის ბ. ჟღენტის რედაქციით.

დამატებითი მატარებლები

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს — 24 ივლისს თბილისსა და მცხეთას შორის დანიშნულია დამატებითი მატარებელი № 108/107, რომელიც თბილისიდან გავა 8 საათსა და 2 წუთზე და მცხეთაში მივა 8 საათსა და 47 წუთზე. იგივე მატარებელი უკან დაბრუნდება 18 საათსა და 43 წუთზე და თბილისში ჩამოვა 19 საათსა და 31 წუთზე.

გარდა ამ დამატებითი მატარებლისა, დილის საათებში ჩვეულებრივი განრიგებით მცხეთისაკენ თბილისიდან გადის მატ. № 54 6 საათსა და 27 წ., მატ. № 74 — 7 საათსა და 45 წ. და მატ. № 106 — 8 საათსა და 50 წუთზე.

წყალდიდობა ხარაგოულში

ხარაგოული (ტელ. საქ. კორ.). 20 ივლისს ხარაგოულში მთელ ღამეს კოკისპირულად წვიმდა, რასაც შედეგად არაჩვეულებრივი ნიაღვრები და წყალდიდობა მოჰყვა. ადიდებულმა მდ. ჩხერიმელამ დაანგრია ხიდი, რომელიც რაიონის ცენტრს რკინიგზის სადგურთან აკავშირებდა. ხარაგოულში წყალმა გაიტაცა რაიკოოპკავშირის საწყობი, ორი ავტომანქანა, დიდძალი ტარა, მასალა და სხვ. აგრეთვე დაინგრა ერთი მაღაზია, ნავთის საწყობი, ერთი საცხოვრებელი სახლი, გატაცებულია პირუტყვი და წისქვილები. წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა რკინიგზას. მარელისსა, ხარაგოულსა და ძირულას შუა რკინიგზა ბევრგან სრულიად დაშლილია, დანგრეული და წალეკილია ჯებირები, საგრძნობლად დაზიანებულია ხიდების ქვის სატეხი კარიერი, კარიერში მუშაობა შეჩერებულია. მოძრაობა შეწყვეტილია.

მოხუცების გადმოცემით, ასეთი წყალდიდობა ხარაგოულში ყოფილა 44 წლის წინათ.

გამოყოფილია კომისია წყალდიდობისაგან გამოწვეული ზარალის გამოსარკვევად.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

22 ივლისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში — ამხ. ა. მელქაძის ლექცია თემაზე: ლ. პ. ბერიას წიგნზე „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. გეგიას ლექცია თემაზე: ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონიის აგრესია ჩინეთში. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ყორღიკაშვილის ლექცია თემაზე: ჩინელი ხალხის ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1669726, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ვლადიმერ გიორგის-ძე კლარჯიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ფიზკულტურელთა საკავშირო დღე მოსკოვში. **სურათზე:** საქართველოს სსრ ფიზკულტურელთა კოლონა წითელ მოედანზე
საკდესის ფოტოქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. ჯანსახკომის ქ. თბილისის მესამე საფერშლო სკოლა

მომავალი 1939-40 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ სექტორზე.

სკოლა ამზადებს ფერშლებს—ექიმის თანაშემწეებს. მეცადინეობა სწარმოებს საღამოს საათებში. სწავლების ვადა სამი წელია. მიღებული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით, ხოლო რაიონებიდან მიღებული მოსწავლეების 25%-ს მიეცემათ ბინები საერთო საცხოვრებელში.

სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდის შემდეგ ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არა ნაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა, 2. მათემატიკა, 3. გეოგრაფია, 4. ფიზიკა და 5. ისტორია.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და ის მოსწავლეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა, მუშფაკი ან ტექნიკუმი.

განცხადების მიღება სწარმოებს დირექტორის სახელზე 10 ივლისიდან 25 აგვისტომდე, გამოცდები იწარმოებს 26 აგვისტოდან.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: 1. მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 4. ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

პირადად გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადების და საბუთების გადმოგზავნა შეიძლება ფოსტითაც შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქუჩა № 4 (ყოფილი სართანის), დერმატოლოგიური და ვენეროლოგიური ინსტიტუტი, პირველი სართული, ოთახი № 7, ამხ. გვარამიას, ტელეფონი № 3-37-23.

განცხადებები მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ჭავჭავაძის ქუჩა № 31, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

[illegible] მესამე საფერშლო სკოლის დირექტორი ვ. იაშვილი.

საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18 50

საზაფხულო თეატრი
22 ივლისი, მუდმივი ადგილ.
ტალონი 55

კონცერტები ვარშავის შოპენის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის მონაწილის, ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის **ნათან პერელმანისა** (როიალი)
შემსრულებელ მუსიკოსთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატის **არნოლდ ფერკელმანისა** (ვიოლონჩელი)
საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა საუკეთესო შემსრულებლების კონკურსის ლაურეატის **ეფრემ ფლაქსისა** (ბანი).
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

დახურული თეატრი
22 ივლისს
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის არტისტის
იგორ ილინსკის გასტროლები.
დასაწყისი საღამოს 10 ს.

ლია ესტრადა
22, 23 ივლისს
უკრაინული სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის გასტროლების უკანასკნელი დღეები.
დასაწყისი საღ. 10 საათზე.

არტელ „საკონდიტრო ჩაწარმოს“ თანამშრომლები ა. ნადირაძე, გ. ცაცკრიალაშვილი, მ. ჟღმაია, ს. რონიაშვილი, ქ. ცხვირავაშვილი, ი. აბუთიძე, ჯ. მამედოვი, ი. ამირხანოვი, შ. აბავიტოვი იუწყებიან გრიგოლ გურგენიძის ქალის
ლიზას
გარდაცვალებას. 2565

დამწუხრებული მეუღლე პელაგია, შვილები ნიკო, ქეთო, ანეტა, სიძე იოსებ ბურთიკაშვილი, და სოფიო საჯანაშვილი იუწყებიან
გიორგი ნიკოლოზის-ძე მიქელიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/VII, ს. პატარძეულში. 2563

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული — 282